ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 26
(11 483)

3 – 5 აპრილი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## 3 და 4 აპრილს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩებია

ჩემპიონთა ლიგა



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო



## 4 სადისციპლინო სიტუაცია მეოთხედფინალის წინ

*3 აპრილი, ხამშაბათი*

***მანჩესტერი — ბაიერნი.*** დისკვალიფიცირებული ფეხბურთელები მეტოქეთა გუნდებში არ არის. თუ ინგლისელები ჰარი ნევილი, პოლ სქოულზი, მიქაელ სილვეტრი, დევიდ ბექჰემი მიიღებენ გაფრთხილებას, საპასუხო მატჩს გამოტოვებენ. გერმანელებიდან კი ასეთივე საშიშროება ემუქრება მეხმედ შოლს, ტორსტენ ფინიკს, ტომას ლინკეს, ჰასან სალიხა მიჯიჯს, ბიქსანტ ლიზარაზუს.

***გალათასარაი — რეალი.*** აქაც დისკვალიფიცირებული ფეხბურთელები არ არიან. თურქებიდან თუ ჰაკამ უნსალი, უმით დავალა, გეორგე ჰაჯი, გეორგე პოპესკუ, სუატ კაია ყვითელ ბარათს მიიღებენ, განმეორებით შეხვედრაში ვერ ითამაშებენ. რეალში ასეთი საფრთხე არავის ემუქრება.

*4 აპრილი, ოთხშაბათი*

***არსენალი — ვალენსია.*** გუნდებში დისკვალიფიცირებულნი არ არიან. თუ ინგლისელებმა მარტინ კიონმა, ფრედრიკ ლიუნგბერგმა, ეშლი კოულმა, ლორან ლორანმა, პიერი ანრიმ გაფრთხილება მიიღეს, ესპანელებთან საპასუხო მატჩს გამოტოვებენ. ვალენსიაში ასეთი ფეხბურთელები არიან: იოახიმ ბიორკლუნდი, ანგულო, ამედეო კარბონი, რობერტო აიალა, დავიდ ალბელდა.

***ლიდსი — დეპორტივო.*** გუნდებში დისკვალიფიცირებულნი არ არიან. „ბეწვზე ჰკიდიან": ინგლისელთაგან — ერიკ ბაკე, ალან სმიტი; ესპანელებიდან — ფრანი, ნურებინ ნაიბეტი, დონატო, მაურო სილვა, ემერსონი.

**მეოთხედფინალამდე მეტოქეთა გუნდებიდან ლიგის ბომბარდირები არიან:** **ბოლ სქოულზი (მანჩესტერი) — 6 გოლი 10 მატჩში, ლი ბოიერი (ლიდსი) — 6 (10), რაული (რეალი) — 5 (8), ვალტერ პანდიანი (დეპორტივო) — 5 (10), ტედი შერინგემი (მანჩესტერი) — 5 (10), ჟარდელი (გალათასარაი) — 5 (12), ფერნანდო მორიენტესი (რეალი) — 4 (6), ენდი კოული (მანჩესტერი — 4(8), გუტი (რეალი) — 4 (8), ლუიშ ფიგუ (რეალი) — 4 (10), რობერტო კარლოსი (რეალი) — 4 (10), ივან ელგერა (რეალი) — 4 (10), დიეგო ალონსო (ვალენსია) — 4 (10), ალან სმიტი (ლიდსი) — 4 (10), მარკ ვიდუკა (ლიდსი) — 4 (10), მეხმეტ შოლი (ბაიერნი) — 4 (11).**

## 3 საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

*1984 წ. ევროპის ჩემპიონატი: საფრანგეთი — იტალია.*
*მიშელ პლატინი (№16)*



## 2

გასულ შაბათ-კვირას „ლაგუნა-ვერეს" საწყლოსნო კომპლექსში მოასპარეზე მოცურავეები ღია ცისქვეშ იყინებოდნენ, ვაკის დახურულ საცურაო აუზში კი დელფინები ნებივრობდნენ...

## 2

***ქართული კრივის ბრწყინვალე წარმომადგენლის თენგიზ გუჯაბიძის სპორტული ბიოგრაფიით და პიროვნებით მუდამ ამაყობდა და იამაყებს მისი მშობლიური ქუთაისი...***



## 6

„ყველაზე მეტად ღლეისათვის ის ფეხბურთი მომწონს, რომელსაც ესპანეთში თამაშობენ. ამასთან, ყველაზე რთული, ყველაზე ძლიერი ჩემპიონატი მაინც იტალიურია...
დიდი ფეხბურთელი შეიძლება დიდი მწვრთნელი გახდეს, მაგრამ დიდი ფეხბურთელობა მაინც არასაკმარისი პირობაა კარგი მწვრთნელობისათვის".

## 7



## ბრაზილიის „გრან-პრი" კულტჰარდს!

## 8



ვ. უილიამსი

## ვენუს უილიამსმა კაპრიატის ჩათვლით ყაელა „მოინელა"

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### მინსკში დააპატიმრეს ფიფას არბიტრი

გუშინ სენსაციური ცნობა გაავრცელა „ფრანს-პრესმა". ბელარუსელი ფიფას არბიტრი გენადი იაკუბოვსკი დააკავეს როგორც ექვმიტანილი სატრანსფერო საქმიანობის შუამავლობაში. პოლიცია აცხადებს, რომ მსაჯს ბრალად ედება 23 ათასი დოლარის არალეგალური მიღება, რომელიც მას გადასცეს სარატოვის „სოკოლსა" და ბელარუსის „ლოკომოტივს" შორის ნახევარმცველ მიხაილ ცაპკოს ტრანსფერის ხელშეწყობისთვის. მასვე ბრალად ედება 21 დოლარის გადასახადის დამალვა. იაკუბოვსკი 1993 წლიდანაა ფიფას არბიტრი.

**მანჩესტერის** მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა გუშინ, პრესკონფერენციაზე, განაცხადა, რომ მის გუნდს მხოლოდ ერთი ამოცანა აქვს — მოიგოს ჩემპიონთა ლიგა. „ახლა მანჩესტერი უფრო მაღალ დონეზეა, ვიდრე 1999 წელს, როცა ჩემპიონთა ლიგის მთავარი პრიზი მოიგო" — თქვა მთავარმა მწვრთნელმა და დასძინა, რომ „ბავარიასთან" მატჩს გამოტოვებენ კაპიტანი როი კინი და პოლ სკოულზი.



ალექს ფერგიუსონი

**ფეხბურთი**

**ჩეხეთის პირველობა.**
**დრნოვიცე — ხპარტა 1-1.**

**დანია:**
**სილკებორგი — ვიბორგი 2-0.**

ფიფას დელეგაცია იაპონიას ეწვია და კმაყოფილი დარჩა მსოფლიო ჩემპიონატისათვის ამ ქვეყნის მზადებით.

**ნბა.** გუშინ, ცნობილი გახდა, რომ „შარლოტ ხორლნესტში" დაბრუნდა დერლიკ კოულმენი, რომელსაც რეგულარული ჩემპიონატის 20 მატჩი ჰქონდა გამოტოვებული.

ATHENS 2004

CANDIDATE CITY

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 4 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

TM ® 1997 SLOC 36 USC 380

## ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს 10 თვე და 5 დღე გვაშორებს

**8–24 თებერვალი 2002 წ.**



# პაუნდსაც უნდა სავარძელი

გუშინ, წარსულში პროფესიონალმა მოცურავემ, ამჟამად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მარკეტინგის განყოფილების თავმჯდომარემ, იურისტმა დიკ პაუნდმა პრესკონფერენცია მოიწვია, სადაც განაცხადა თავისი გადაწყვეტილების შესახებ კენჭი იყაროს სოკ-ის პრეზიდენტის პოსტზე.

*სურათზე: დიკ პაუნდი*

# კაცი, რომელიც ქუთაისური კრივის სინონიმად იქცა...

დღეს რომ ვლაპარაკობთ ქუთაისური კრივის სკოლის თვითმყოფადობაზე, რომელმაც არაერთი მაღალი კლასის ტყავის ხელთათმნის ოსტატი აღზარდა და შორს გაუთქვა სახელი რიონისპირელ სპორტსმენთა სიჩაუქესა და ტექნიკას, ალბათ, ცოტანი თუ დაფიქრებულან, თუ ვინ დაუდო საფუძველი მათ წარმატებათა ბალავარს და საერთო აღიარებას.

.... 1949 წლის შემოდგომაზე, თბილისის ცირკში საქართველოს პირველობის მონაწილეთა რინგზე გამოჩენას, ცნობილი ინფორმატორის ვალოდია პარტინის ლევიტანისებური ბარიტონით ომახიან გამოცხადებას მაყურებელთა ადეკვატური რეაგირება მოჰყვა, რაც სულაც არ იყო გასაკვირი, ვინაიდან სარბიელზე გამოდიოდნენ საკმაოდ ცნობილი მოკრივეები, რომლებსაც თბილისელი მაყურებელი იცნობდა, უფრო სწორად, მათ ბრძოლებში კარგად იყო გაცნობიერებული. ასე იყო, როცა გამოდიოდნენ სპორტის ოსტატები ბორის კალაძე, გაბრიელ ხანუკაშვილი, მიხეილ ნაბიჭვრიშვილი, ვლადიმერ ძნელაძე, შალვა გორგასლიძე, ანდრო ნავასარდოვი და სხვა.

აი, ქუთაისელი მოკრივე მწვრთნელმა ვანო მარქაროვმა საბრძოლველად რომ გამოიყვანა, მის გამოჩენას სრული იდუმალება „მიაცილებდა“ რინგის კუთხისკენ... მხოლოდ პირველი რაუნდის დამთავრების შემდეგ დაინტერესდა მისით მაყურებელი, როცა ვ. პარტინმა ამცნო: „ლურჯ კუთხეშია საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მოზარდთა შორის თენგიზ გუჯაბიძე“. ამ წოდებას რიონისპირელი ჭაბუკი იმ ზაფხულს დაეუფლა დონის როსტოვში, სადაც ბრწყინვალედ განვლო საკავშირო პირველობის ორთაბრძოლები, რითაც მსაჯთა კოლეგიას და ჟიურის გარკვეული სირთულე შეუქმნა. საქმე ის იყო, რომ მისი გამოსვლები ჩემპიონობის გარდა, უფრო მეტსაც იმსახურებდა. მოზრდილთა კრივში არის ასეთი სპეციალური პრიზი, „საუკეთესო ტექნიკისათვის“, რომლითაც ოლიმპიურ ჩემპიონებს, პრიზიორებს აჯილდოებენ. ეს არის ა. ბარკერის პრიზი, მაგრამ მოზარდთა ტურნირებზე „ბარკერის“ პრიზი არ არსებობს. ამიტომ ჟიური, რომელიც გვერდს ვერ აუვლიდა ქართველი მოკრივის ბრწყინვალე გამოსვლას, ასეთი პრიზი გამოიგონა და თ. გუჯაბიძეს „თეთრი ხელთათმანები“ გადასცეს საუკეთესო ტექნიკისათვის...



ოსტატი და შეგირდი: ვანო მარქაროვი და თენგიზ გუჯაბიძე

მაინც რით იყო გამორჩეული მისი ბრძოლა? იგი, პირველ ყოვლისა, ქუთაისის კრივის შემდგომში უკვე იმ დიდი სკოლის პირმშოა, რომელსაც რიონისპირა ქალაქში საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა მწვრთნელმა ვანო მარქაროვმა და შექმნა მეტად თვითმყოფადი და ორიგინალური კრივის „ყაიდა“. ისიც უნდა ითქვას, რომ მწვრთნელის ჩანაფიქრს, თუ მას შემსრულებლები არ ჰყავს, საეჭვოა რომ რაიმე წარმატება მოჰყვეს. ამ მხრივ ვ. მარქაროვისათვის ნამდვილი მიგნება სწორ[ედ] თ. გუჯაბიძე იყო, რომელმაც ხორცი შეასხა მწვრთნელის იდეას – უარი ეთქვათ გაუთავებელი, უმისამართო, გაუაზრებელ დარტყმათა სერიებზე, რასაც სხვა მოკრივეები ერთადერთ საშუალებად მიიჩნევენ დღესაც მიზნის მისაღწევად. ქუთაისელთა კრივი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნებასთანაა წილნაყარი და უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგვრის მაყურებელს და ამის პიონერი სწორედ თ. გუჯაბიძე გახლდათ, რომელმაც მოხდენილი, ნოვატორული ელემენტებით გაამდიდრა სპორტის ეს სახეობა, გაიხსენეთ მისი დახვეწილი მოძრაობა რინგზე, ვერავითარ ალოგიკურობას რომ ვერ აღმოაჩენდით მის ბრძოლაში, რომელიც ნახატივით იყო აგებული კომპოზიციურად. და მისი შეხვედრები ყველასთვის ადვილად გამოსარჩევი იყო. მახსენდება იგივე 1949 წელი, მისმა გამოჩენამ ბევრი სპეციალისტი აღაფრთოვანა, განსაკუთრებით შესანიშნავი მწვრთნელი ალექსანდრ გოლდშტეინი, რომელმაც მაშინვე მიიწვია ყმაწვილი საქართველოს ნაკრების შეკრებაზე, ესტონელ მოკრივეებთან ტრადიციული მატჩისათვის რომ ემზადებოდა.

და როცა ვკითხე: ვის გამოყვანას აპირებთ ესტონელთა წინააღმდეგ მსუბუქ წონაში? – Гуджабидзе! – უყოყმანოდ მიპასუხა.

Да, но он ведь юноша – მივუგე.

– Он профессор ринга!, ты не знаешь Кутайсскую школу... და მან მართლაც გაამართლა დიდი მწვრთნელის ეს შეფასება – რინგის პროფესორობა!

თ. გუჯაბიძის უნიკალობა იმაშიც იყო, რომ მან ორგზის მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონობა თანატოლებ[შ]ი, რაც ჭაბუკთა კრივში პირდაპირ იშვიათობა იყო, მისი მთავარი ღირსება კი მაინც გზის გაკვალვაა, რომელსაც არაერთი თანაქალაქელი გაჰყვა და მაღალ შედეგებსაც მისწვდა. პირველ ყოვლისა, ეს იყო არანაკლებ უნიკალური რინგის ოსტატი ფრიდონ (ბოჭოლია) ლომიძე, რომელმაც მოზრდილთა რინგზეც მაღალ წარმატებებს მიაღწია. შემდეგ ჯუმბერ კვანტალიანი გახდა ჭაბუკთა შორის საკავშირო ჩემპიონი, მას მხარს უბამდა ნოგზენია თორთლაძე, ხოლო საშუალო წონის აკაკი კაკაურიძემ მსოფლიოში არ დაუდო ტოლი თანატოლებს და ქართველ მოკრივეთაგან პირველმა ჭაბუკთა ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა...

ამ დღეებში თ. გუჯაბიძეს 70 წელი შეუსრულდებოდა, ეს გახსენებაც ამ თარიღს ეძღვნება, გაანათლოს უფალმა მისი სული!

**უშანგ ჯიჯინაძე**

# ცურვის დაბრუნების ზეიმი თბილისში

ცურვასთან მიმართებაში მოძულება და მივიწყება სინონიმებად იქცა. სავალალო ფაქტის მოწმენი გავხდით – ცურვა, [...]ტის ეს, თუნდაც ადამიანისთვის აუ[ცი]ლებელი სასიცოცხლო. მნიშვნელობის [...]ტის სახეობა, ყველასგან გარიყული [...]. მისი ასე მოძულება, რომ არ [შ]ეიძლებოდა, ახლა ყველა ხვდება, მაგრამ [ე]რთია ივიშვიშო და მეორე – გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი. სამწუხაროდ, წამოვიდა თაობა, რომელმაც ცურვა არ იცის, ვინც ცურავს (რის ფასად ეს სხვა საკითხია), შეჯიბრებაში უმრავლესობას არასდროდს უასპარეზია.

ბარაქალაო, იტყვის ქართველი, კარგი საქმის თაოსნების მისამართით. და აი, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც მოზარდებს ოცნება აუსრულეს. ეს არის თბილისის მერიის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელი, რომელმაც გასულ შაბათ-კვირას „ლაგუნა-ვერეს“ კომპლექსში სკოლის ღია პირველობა ჩაატარა – ცისფერ ბილიკებზე მოუხმო ყველა მსურველს. წყალიც ძვირი ღირს ჩვენში, მით უფრო, თუ იგი აუზშია ჩასხმული. „ლაგუნა-ვერეს“ ადმინისტრაციამ შეჯიბრებისათვის უფასოდ დათმო აუზი, თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე აღზრდისა და ტურიზმის სამმართველომ კი სიგელები და პრიზები გამოჰყო, მსაჯობის მივიწყებული რიტუალიც გაიხსენეს და მივიღეთ შესანიშნავი ზეიმი, რითაც ესოდენ გაიხარეს სპორტსმენებმაც, მათმა გულშემატკივრებმაც და ორგანიზატორებმაც. ალბათ სპორტის არც ერთ სახეობას ისე არ ამშვენებს მასობრიობა, როგორც ცურვას. მასობრიობა კი ნელი სიკვდილით ჩაკვდა საქართველოში, მათ შორის თბილისში, სადაც 21 სასკოლო საცურაო აუზი გვქონდა და დღეს ყველა მათგანი უმოქმედოდაა, აღარაფერს ვამბობთ სხვა ბაზებზე, უწყლო აუზებს, სპორტსკოლების დახურვა მოჰყვა, შედეგს კი ყველა ვხედავთ (ამ თემაზე ვრცელ წერილს „ლელო“ მალე შემოგთავაზებთ).

„ძალიან მესიამოვნა, რომ ამ პირველ შეჯიბრებაზე მოვიდა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი, ყველა გრძნობს, რომ ქართული სპორტის თავკაცი თანაბარი ყურადღებით ეკიდება პრობლემებს“ – თქვა სპორტის წყლთა სახეობების ფედერაციის პრეზიდენტმა, „ლაგუნა-ვერეს“ დირექტორმა ვლადიმერ გოიაშვილმა.

სამწუხაროდ, იმ დღეებში თბილისში დაბალი ტემპერატურა იყო და ღია აუზზე, სიცივემ აიტანა ბავშვები, საუკეთესო დახურულ აუზში იმავე დღეებში, კი, თბილ წყალში, დელფინები ნებივრობდნენ. მართლაც, რომ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

**ქვარიხლ[illegible]ქი:** ***გოგონები. თავისუფალი სტ[ილ]ი:*** ***50 მ:*** ნ. მემარნიშვილი – 32,4, ნ. ჯოხაძე – 38,8, ნ. ჭელელიძე – 40,4; ***100 მ:*** ლ. ხატიაშვილი, 1.13.01, ჯოხაძე – 1, 28,9, ა. გოდერძიშვილი – 1.32,1; ***200 მ:*** ა. სალნიკოვა – 2.27,8, ხატიაშვილი 2,40,9, ჭელელიძე – 3.25,7, ***400 მ:*** ხატიაშვილი – 5,33,0 (ერთი მონაწილე); ***ბრასი 50 მ:*** სალნიკოვა – 39,2, ნ. დავითაშვილი – 42,3, ნ. ჯანაშია – 44,7; ***100 მ:*** სალნიკოვა – 1.14,4, დავითაშვილი – 1.32,8, ჯანაშია – 1.360; ***200 მ:*** სალნიკოვა – 2,55,2, დავითაშვილი – 3,17,3, ჯანაშია – 3.19,0; ***ბატერფლაი 50 მ:*** ნ. ანანიაშვილი – 43,4, ჭელელიძე – 46,0 (ორი მონაწილე); ***კომპლექსური ცურვა 200 მ:*** სალნიკოვა – 2.43,8, დავითაშვილი – 3.11,5 (ორი მონაწილე). ***გულაღმა ცურვა. 50 მ:*** მემარნიშვილი – 37,9 (ერთი მონაწილე). ***ბიჭები: თავისუფალი სტილი:*** ***50 მ:*** ზ. ალავიძე – 24,1, გ. ბიჭიაშვილი – 25,9, ა. მოსეშვილი – 26,3; ***100 მ:*** ვ. ბერიძე – 53,9, ალავიძე – 54,3, გ. ბიჭიაშვილი – 56,9; ***200 მ:*** ბერიძე – 1.58,5 ბიჭიაშვილი – 2.07,8, ა. მოსეშვილი – 2.10.4; ***400 მ:*** ბერიძე – 4.15,5, ლ. ბუზალაძე – 4.37,0, ა. ავორქოვი – 2.45,7; ***ბრასი. 50 მ:*** გ. ჩეჩელაშვილი – 33,9, დ. კვეტენაძე – 34,0, გ. სლივინი – 34,9; ***100 მ:*** ჩეჩელაშვილი – 1.14,4, ვ. ლექვთაძე – 1.16,3, ბიჭიაშვილი – 1.17,3; ***200 მ:*** ხომასურიძე – 2.38,7, ლექვთაძე – 2.45,3, ს. იზორია – 2,54,1; ***ბატერფლაი. 50 მ.*** ხომასურიძე – 26,5, ო. ფეიქრიშვილი – 30,3, იზორია – 30,8; ***100 მ:*** ხომასურიძე – 59,9, იზორია – 1.09,8, ვაჩნაძე – 1.42,5; ***200 მ:*** ხომასურიძე – 2.15,0, იზორია – 2.38,1 (ორი მონაწილე); ***გულაღმა ცურვა. 50 მ:*** ო. ფეიქრიშვილი – 31,1, მ. ჭელიძე – 31,6, მ. ხორიაშვილი – 35,0; ***100 მ:*** გ. ჩეჩელაშვილი – 1.04,7, ჭელიძე – 1.07,3, ბუზალაძე – 1.19,4; ***200 მ:*** ბ. ჩომახიძე – 2,51,6, ა. ნემსაძე – 2.59,1 (ორი მონაწილე). ***კომპლექსური ცურვა 200 მ:*** ხომასურიძე – 2.20.3, ჭელიძე – 2,25,2 (II საერთო გაცურვაში, I თავის ასაკში), ფეიქრიშვილი – 2.30,7.



ზ. ხომასურიძე

# პრესტიჟული კლუბები ბაქოში მიიწვიეს

სპორტული კლუბების „ელეგიას“ და „თელას“ მოცეკვავე წყვილების ოსტატობას ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც კარგად იცნობენ და თავიანთი ტურნირების გასალამაზებლად და პრესტიჟის ასაწევად ხშირად იწვევენ სხვა ქვეყნებში. ამჯერად ისინი ბაქოს ღია რეიტინგულ ტურნირში ასპარეზობდნენ. ტურნირზე, რომლის სახელწოდებაა „ნოვრუზ ბაირამთან“ და 15 წელიწადია ტრადიციულად ტარდება ბაქოში, „თელას“ ერთი და „ელეგიას“ ექვსი წყვილი გაემგზავრა. მოპოვებულია ოთხ-ოთხი I, II და III ადგილები, სამიც – V.

გოგიტა გონგაძე – მზია ორვალიშვილის წყვილი პირველი იყო როგორც ლათინო-ამერიკულ, ისე ევროპულ ცეკვებში („ელეგია“, იუნიორი 1); გიორგი გაჩეჩილაძე – ლელა ჩქარეულის წყვილს ბადალი არ ჰყავდა ევროპულ ცეკვებში იუნიორ-2-ის პროგრამით („თელა“), მათვე მეორე ადგილი ხვდათ ლათინურ-ამერიკულ პროგრამაში, ორი მესამე ადგილი კი ევროპული და ლათინო-ამერიკული ცეკვების პროგრამით – ახალგაზრდებში. 6 ცეკვის პროგრამით მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა ლევან ხოჭოლავა – ნინო გელაშვილის, 8 ცეკვის პროგრამით გიორგი მეგრელიშვილის – ნინო გადელიას, ხოლო მესამე ადგილი ირაკლი ცქიფურიშვილი – თამუნა მიქელაძის (ყველა „ელეგია“) წყვილებმა. მეხუთე ადგილზე გავიდნენ ასევე „ელეგიის“ წარმომადგენლები: შალვა ორველაშვილი – ეკა კაჭკაჭიშვილი; ბესო ლომსაძე – რუსიკო ბიბიაშვილი; თამაზ კიკნაძე – მაია ჩილაური. ჩვენები მეხუთე ადგილზე გავიდნენ გუნდურ შეჯიბრებაშიც, რაც გაუგებრობით, უფრო სწორად, ორგანიზატორთა უყურადღებობით მოხდა – თბილისელები თურმე წინასწარ არ გაუფრთხილებიათ. ამან საბოლოო შედეგებზეც იმოქმედა და საქართველოს წარგზავნილები საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილს დასჯერდნენ.

**დათო ხარატიშვილი**
**ფ/ა და სპორტის აკადემიის ჟურნალისტიკის მეორადი ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი**



გოგიტა გონგაძე – მზია ორველაშვილის წყვილი



შალვა ორველაშვილი – ეკა კაჭკაჭიშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო ბიულეტენი

## საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# ყველაფერი თავიდან იწყება

დამთავრდა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი. ხვალ ყოველგვარი პაუზის გარეშე, მეორე ეტაპიც დაიწყება. პირველი ექვსეული მედლებისთვის და ევრო საგზურისთვის ითამაშებს, ქვედა ექვსეული ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. საკმარისია ცხრილს გადავხედოთ, გავეცნოთ მეორე ეტაპის პირველი ტურის წყვილებს, ნათელი გახდება თუ რაოდენ დაძაბული და საინტერესო მატჩები გველის. თუმცა გამორჩეულ შეხვედრად სამართლიანად შეიძლება ეროვნულზე გასამართი მატჩი მივიჩნიოთ. თბილისის „დინამო" ქუთაისის „ტორპედოს" უმასპინძლებს. უხეიროდ დაწყებული პირველი ეტაპი „დინამომ" მაინც ღირსეულად ჩაამთავრა, ჩემპიონს მოგებათა რაოდენობით გაასწრო და მეორე ადგილზეა, „ტორპედომ" პირიქით, მოპოვებული უპირატესობა ბოლოს გაფლანგა, „დინამოს" დაწევის, „ლოკომოტივს" კი გვარიანად გასწრების საშუალება მისცა. პირველ ეტაპზე გუნდებმა ქულები გაიყვეს — ქუთაისელებმა თბილისში მოიგეს. თბილისელებმა — ქუთაისში. „ლოკომოტივი" „მერანს" ვაკეში უმასპინძლებს და ავჭალაში დაწყებულ პაექრობას გააგრძელებენ. ამ წყვილში ლიდერის უპირატესობა აშკარაა, „ლოკომოტივმა" პირველ ეტაპზე მეტოქეს ორივე მატჩი მოუგო. მეოთხე თბილისური გუნდი „ვიტ ჯორჯია" ფოთში ჩავა და „კოლხეთს" შეერკინება. მათი ბოლო მატჩიც ფოთში გაიმართა და ფრედ დასრულდა. „კოლხეთს" გაუჭირდა სტუმრების წინააღმდეგობის დაძლევა, როგორც ჩანს, მეტოქეთათვის იოლი თამაში, არც იქნება.

ქვედა ექვსეულში მშვიდად, მხოლოდ ბათუმის „დინამო" თუ იგრძნობს თავს. ზღვისპირელებს მწვრთნელთა და თაობათა ცვლა ერთობ გაუგრძელდათ. იმედია, ახლანდელი ჩავარდნიდან გუნდი სწორ დასკვნებს გამოიტანს, მეორე ეტაპს ნაყოფიერად გამოიყენებს, ძალებს აღიდგენს და უმაღლეს ლიგაში ადგილსაც უპრობლემოდ შეინარჩუნებს. დანარჩენებს ერთმანეთში ფიცხელი ბრძოლა ელით და გასარკვევიც ბევრია.

**II ეტაპი**

**I-VI ადგილებისთვის**

***I ტური, 4 აპრილი***

კოლხეთი 1913 — ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი — მერანი
დინამო (თბ) — ტორპედო

**VII-XII ადგილებისთვის**

***I ტური, 3 აპრილი***

თსუ — იბერია
დილა — დინამო (ბთ)
გორდა — სიონი

პირველ ლიგაში ისეთი სიმჭიდროვეა, უპირატესობას ვერავის მისცემ. ქულებში სხვაობაც მინიმუმია, რაც უფრო ძაბავს ვითარებას. სანუკვარი სამი ადგილისთვის ნამდვილი ბრძოლა ახლა დაიწყება.

***I ტური***

***I-VI ადგილებისთვის. 3 აპრილი:*** შუქურა — სამგურალი, გურია — ლოკომოტივი-2 — მეტალურგი.
***4 აპრილი*** — მილანი — ცხინვალი.

დალხენილი ცხოვრება, არც ქვედა ექვსეულის ბინადართ ექნებათ, ლიგაში დასარჩენად, მათაც ბევრი ოფლის ღვრა მიუწევთ.

***VII-XII ადგილებისთვის. 4 აპრილი.*** თორი — კოლხეთი (ხ), ოკეანე — ივერია, დინამო (ზ) — თბილისი

**უპრიანი** იქნებოდა გავცნობოდით თუ როგორი სისტემით წარიმართება ჩემპიონატის მეორე ეტაპი. დებულების მიხედვით ***უმაღლესი და I ლიგის*** გუნდებს ქულები გაუნახევრდათ, ისინი, ვინც პირველი ეტაპის შემდეგ დააგროვებენ კენტ ქულებს, დაემატებათ ერთი ქულა და შემდეგ გაუნახევრდებათ, ხოლო მოგებების, ფრეების, წაგებების, გატანილი და გაშვებული ბურთების აღრიცხვა ნულიდან დაიწყება. უმაღლესი ლიგიდან ვარდება ორი გუნდი, მე-10 ადგილზე გასული ნეიტრალურ მოედანზე შეხვდება I ლიგაში მე-3 ადგილზე გასულ გუნდს, გამარჯვებული მოიპოვებს უმაღლესი ლიგის საგზურს.

***პირველი ლიგიდან*** უმაღლეს ლიგაში გადადის ორი გუნდი, მესამე ადგილოსანი ნეიტრალურ მინდორზე შეხვდება უმაღლესი ლიგის მე-10 ადგილზე გასულ გუნდს. I ლიგიდან რეგიონულ ლიგაში ვარდებიან X-XII ადგილებზე შემორჩენილნი.

მოკლედ, ჩემპიონატი არ დამთავრებულა, მთავარი ბრძოლა ახლა იწყება.

## მსაჯები. ინსპექტორები

**უმაღლესი ლიგა. 3-4 აპრილი. I ტური**

**თსუ — იბერია:** მთავარი მსაჯი — მაისურაძე, ასისტენტები — ჯვარიძე, ურუშაძე, მეოთხე მსაჯი — შილაკაძე, ინსპექტორი — მ. ლაცაბიძე

**დილა — დინამო (ბთ):** მთავარი მსაჯი — მესხი, ასისტენტები — სამხარაძე, ცირდავა, მეოთხე მსაჯი — სანაია, ინსპექტორი — ა. დურსუნიში.

**გორდა — სიონი:** მთავარი მსაჯი — მ. მალაღურაძე, ასისტენტები — სილაგავა, ბრეგვაძე, მეოთხე მსაჯი — მეშკოვი, ინსპექტორი — ლ. ყიფიანი.

**კოლხეთი 1913 — ვიტ ჯორჯია:** მთავარი მსაჯი — ა. შალამბერიძე, ასისტენტები — გაბრიაძე, რუსიშვილი, მეოთხე მსაჯი — კიკაჩეიშვილი, ინსპექტორი — ა. მილჩენკო.

**ლოკომოტივი — მერანი:** მთავარი მსაჯი — ლ. ფანიაშვილი, ასისტენტები ცირდავა, სამხარაძე, მეოთხე მსაჯი — მალაღურაძე, ინსპექტორი — ო. გუნთაძე.

**დინამო (თბ) — ტორპედო:** მთავარი მსაჯი — ა. შილაკაძე, ასისტენტები — დოლიძე, ი. შალამბერიძე, მეოთხე მსაჯი — კვარაცხელია, ინსპექტორი — გ. ფირცხალავა.

## XXII ტურის გამოტოვებული მატჩები

**ტექნიკური შედეგები**

**მერანი-91 – ლოკომოტივი 0-1**

**მერანი:** ნაჭყპია, გოგიტაძე, კვეკვესკირი, დავითნიძე, ცქიფურიშვილი, ხუჯაძე (ხუციშვილი, 46), ჩ' ძე (კრავეიშვილი, 77), დევიძე, ბოლქვაძე (კოშკაძე, 46), გოდერძიშვილი. მინაშვილი.

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ცხადაძე, შელია, ჭიჭვეიშვილი, სალუქვაძე, კვარაცხელია, ანჩაბაძე, გოგიჩაიშვილი, დათვაძე (გ. შენგელია, 59), რუსია (ბაქრაძე, 63).

**გოლი:** 0-1 შელია (12).

**გააფრთხილეს:** დავითნიძე, ხუჯაძე, ანჩაბაძე.

**მსაჯი:** ა. ორდინიძე (ონი).

**ვიტ ჯორჯია – ტორპედო 0-0**

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, საჯაია, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი. (ინწკირველი, 90), ჭანკოტაძე, ლ. ნოზაძე, გოგობერიშვილი (სულთანიშვილი, 80), დიღმელაშვილი ყიფიანი, ვ. გოჩაშვილი, გოცირიძე (წულუნავა, 79).

**ტორპედო:** ზოიძე, აბრამიძე, ვაშაკიძე, თოდუა, მახვილაძე, ჩხეტიანი, (გვირჯიშვილი, 53), კვეტენაძე, (ჯინჭარაძე, 79), ქემოკლიძე, დიდავა, დ. ჯანაშია, იმედაძე (ბობოხიძე, 46).

**გააფრთხილეს:** ყიფიანი, ვაშაკიძე, მუჯირი, ნოზაძე, თოდუა, დიდავა, ჯანაშია.

**მსაჯი:** მ. მალაღურაძე (თბილისი)



**პირველი ეტაპის საბოლოო ცხრილები**

**უმაღლესი ლიგა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომ. | 22 | 18 | 2 | 2 | 41-7 | 56 | (28) |
| დინ.(თბ) | 22 | 15 | 3 | 4 | 52-20 | 48 | (24) |
| ტორპედო | 22 | 14 | 6 | 2 | 33-7 | 48 | (24) |
| ვიტ ჯორჯ. | 22 | 10 | 8 | 4 | 29-15 | 38 | (19) |
| მერანი-91 | 22 | 8 | 8 | 6 | 22-21 | 32 | (16) |
| კოლხ.1913 | 22 | 8 | 7 | 7 | 22-18 | 31 | (16) |
| დინამო(ბთ) | 22 | 8 | 4 | 10 | 34-29 | 28 | (14) |
| სიონი | 22 | 7 | 5 | 10 | 17-28 | 26 | (13) |
| თსუ | 22 | 5 | 4 | 13 | 19-37 | 19 | (10) |
| გორდა | 22 | 3 | 9 | 10 | 16-29 | 18 | (9) |
| დილა | 22 | 5 | 3 | 14 | 14-44 | 18 | (9) |
| იბერია | 22 | 0 | 3 | 19 | 3-47 | 3 | (2) |

**ბომბარდირები:** *რ. ზირაქიშვილი (დინამო (თბ) — 16. დ. გოდერძიშვილი (მ. რანი-91) — 11.*

**პირველი ლიგა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 22 | 13 | 3 | 6 | 37-18 | 42 | (21) |
| მეტალურ. | 22 | 12 | 6 | 4 | 36-19 | 42 | (21) |
| გურ.-ლოკ2 | 22 | 12 | 5 | 5 | 30-25 | 41 | (21) |
| შუქურა | 22 | 12 | 4 | 6 | 34-18 | 40 | (20) |
| სამგურ. | 22 | 12 | 3 | 7 | 40-21 | 30 | (20) |
| ცხინვალი | 22 | 12 | 3 | 7 | 47-24 | 39 | (20) |
| თორი | 22 | 8 | 5 | 9 | 22-19 | 29 | (15) |
| კოლხ.(ხ) | 22 | 6 | 7 | 9 | 18-24 | 25 | (13) |
| დინამო(ზ) | 22 | 7 | 3 | 12 | 19-51 | 24 | (12) |
| ოკეანე | 22 | 5 | 4 | 13 | 22-40 | 19 | (10) |
| თბილისი | 22 | 5 | 2 | 15 | 11-34 | 17 | (9) |
| ივერია | 22 | 4 | 3 | 15 | 12-45 | 15 | (8) |

**გამოტოვებული მატჩი**

**დინამო (ზ.) – მილანი (წნ.) 0-5**

*შენიშვნა: ჩემპიონატის მეორე ეტაპს გუნდები დაიწყებენ ფრჩხილებში მოცემული ქულებით.*

## რეგიონული ლიგა. XIII ტური

**აღმოსავლეთის ზონა**

**ლოკომოტივი 3 — თბილისი 2 2-1**
**აკადემია — ხალიბი 2-0**
**ასკ — ცხუმი 1-2**
**სამგორი — ალაზანი 0-2**
**ჭაბუკიანი — ზოოვეტი 1-0**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | 12 | 9 | 2 | 1 | 27-8 | 29 |
| ლოკომ. 3 | 12 | 9 | 2 | 1 | 28-10 | 29 |
| ჭაბუკიანი | 12 | 9 | 1 | 2 | 31-9 | 28 |
| ხალიბი | 12 | 6 | 3 | 3 | 19-15 | 21 |
| ცხუმი | 12 | 6 | 3 | 3 | 12-6 | 21 |
| ალაზანი | 12 | 6 | 2 | 4 | 24-15 | 20 |
| თბილისი2 | 12 | 3 | 2 | 7 | 12-24 | 11 |
| ზოოვეტი | 11 | 2 | 2 | 7 | 10-16 | 8 |
| სამგორი | 12 | 2 | 2 | 8 | 10-26 | 8 |
| ასკ | 12 | 2 | 0 | 10 | 14-33 | 6 |
| კავკასიონი | 11 | 1 | 1 | 9 | 11-36 | 4 |

**ცენტრალური ზონა**

**დინამო2 (თბ) — ამირანი 1-2**
**დილა2 — საბურთალო 3-0**
**მესხეთი ვიტ ჯორჯია 0-1**
**ს. ა. იბერია — მრეტები 0-0**
**ვარძია — ვალენსია 3-0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამირანი | 12 | 9 | 1 | 2 | 24-12 | 28 |
| დინამო2 (თბ) | 12 | 8 | 1 | 3 | 34-12 | 25 |
| ვიტ ჯორჯია2 | 12 | 7 | 3 | 2 | 32-10 | 24 |
| ს.ა. იბერია | 12 | 5 | 6 | 1 | 24-10 | 21 |
| მესხეთი | 12 | 5 | 1 | 6 | 10-18 | 16 |
| მრეტები | 12 | 4 | 4 | 4 | 11-12 | 16 |
| ვალენსია83 | 11 | 4 | 3 | 4 | 16-18 | 15 |
| ოლიმპიკი | 11 | 4 | 0 | 7 | 14-13 | 12 |
| ვარძია | 12 | 3 | 3 | 6 | 10-15 | 12 |
| დილა2 | 12 | 2 | 4 | 6 | 11-25 | 10 |
| საბურთალო | 12 | 0 | 2 | 10 | 4-45 | 2 |

**დასავლეთის ზონა**

**დინამო2 (ბთ) — ინტერი 0-0**
**სალხინო — მერცხალი 0-3**
**გურია2 — სულორი 2-3**
**კოლხეთი2 — მზიური 0-0**
**სამეგრელო — სქური 1-3**
**ლაზიკა — დინამო (სოხ) 3-1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სქური | 13 | 10 | 2 | 1 | 32-10 | 32 |
| ლაზიკა | 13 | 10 | 1 | 2 | 46-21 | 31 |
| მზიური | 13 | 9 | 2 | 2 | 34-17 | 29 |
| კოლხეთი2 | 13 | 7 | 2 | 4 | 20-11 | 23 |
| ინტერი | 13 | 6 | 3 | 4 | 28-12 | 21 |
| დინამო 2 (ბთ) | 13 | 5 | 3 | 5 | 19-18 | 18 |
| დინამო (სოხ) | 13 | 4 | 3 | 6 | 20-21 | 15 |
| გურია2 | 13 | 3 | 3 | 7 | 21-38 | 12 |
| მერცხალი | 13 | 3 | 3 | 7 | 15-20 | 12 |
| სულორი | 13 | 3 | 1 | 9 | 13-47 | 10 |
| სამეგრელო | 13 | 2 | 3 | 8 | 11-27 | 9 |
| სალხინო | 13 | 1 | 4 | 8 | 14-31 | 7 |



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის

**განცხადება**

**25 აპრილს, 12 საათზე ფედერაციაში სოციალურ და სხვა აქტუალურ საკითხებზე იმსჯელებენ ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირების, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის ხელმძღვანელები და საფეხბურთო კლუბების პრეზიდენტები.**

## სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე

## არ ისროლოთ, უყურეთ ფეხბურთს!

სტადიონის პირობითი დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე და ჯარიმა 400 ლარი. ასეთია კომიტეტის საბოლოო განაჩენი „დილა" – „კოლხეთის" მატჩში მომხდარი ინციდენტის გარჩევის შემდეგ. ეს საკითხი კომიტეტის წევრებმა გადადეს. ხელმეორედ განხილვისას მატჩის მსაჯებიც და კომისარიც მოიწვიეს, სხდომას „დილას" გუნდის უფროსთან ერთად გორის სამართალდამცავი ორგანოს პასუხისმგებელი პირიც დაესწრო, რომელმაც კომიტეტის წევრებს აღუთქვა, რომ ამიერიდან ქალაქის სტადიონზე სრული წესრიგი დაისადგურებს. მსაჯებმა, კერძოდ, გვერდითმა არბიტრმა ბუიშვილმა დაწვრილებით ახსნა თუ რა და როგორ მოხვდა თავში, რაც მატჩის სამი წუთით შეწყვეტის საბაბი გახდა. შეხვედრის ინსპექტორმა ილია მჭედლიშვილმაც განმარტა მომხდარი, რის შემდეგაც სადისციპლინო კომიტეტმა ის გადაწყვეტილება გამოაცხადა, რომელიც ზევით გაგაცანით.

**გსურთ სამ თვეში უცხო ენის შესწავლა?**

მიაკითხეთ „ელიტა სკ"-ს. ენის საუკეთესო სპეციალისტები შეგასწავლიან ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, თურქულ და რუსულ ენებს.

**გაიცემა სერთიფიკატები**

გსურთ კომპიუტერის შესწავლა? მიაკითხეთ „ელიტა სკ"-ს

„ელიტა-სკ" საერთაშორისო კორპორაცია Es Vita Inc-თან ერთად ენის დახვეწის და პრაქტიკის მიზნით აგზავნის სკოლის მოსწავლეებს და სტუდენტებს მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის განვითარებულ ქვეყნებში.

ERC

**„ელიტა სკ"**

**ELITE-RC CO.LTD**

უცხო ენების და კომპიუტერის სწრაფი კურსები

თბილისი-380077, ვაჟა-ფშაველას 44 (მ. დელისი), ტელ.: 39-87-25,

E-mail: erc@ti.net.ge

www.elite-RC.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

# მეოთხედფინალური მატჩების წინ



***როგორც ფეხბურთის მოყვარულთათვის ცნობილია 3-4 და 17-18 აპრილს გაიმართება ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩები. ერთმანეთს ხვდებიან სტამბოლის „გალათასარაი" — მადრიდის „რეალი", „მანჩესტერ იუნაიტედი" — მიუნხენის „ბაიერნი", „ლიდს იუნაიტედის" — ლა-კორუნიის „დეპორტივო" და ლონდონის „არსენალი" — „ვალენსია". საინტერესოა, რომ აღნიშნული გუნდებიდან სამი წყვილი ევროპული ფეხბურთის სხვადასხვა მნიშვნელოვანი ტურნირის ფინალში ერთმანეთს ადრეც შეხვედრია. „ბაიერნი" — „მანჩესტერი" 1999 წელს ინგლისელებმა თვალსა და ხელს შუა გამოსტაცეს თასი მიუნხენელებს. 2000 წელს „რეალმა" 2-1 წაავო უეფას სუპერთასი უეფას თასის მფლობელ „გალათასარაისთან". „ვალენსია" — „არსენალი" ერთმანეთს 1980 წელს შეხვდნენ თასების მფლობელთა თასის ფინალში. პენალტების სერიაში 5-4 ესპანელებმა იმარჯვეს და თასიც მათ დარჩათ. როგორც ყოველთვის, ამჟამად თავსაყრელია წინასამატჩო პროგნოზები. ამიტომ ფეხბურთის მოყვარულებს ვთავაზობთ მეოთხედფინალში მონაწილე გუნდების თავკაცთა მოსაზრებებს.***

## „გალათასარაი" - „რეალი"

კითხვაზე კმაყოფილია თუ არა იგი ამ წყვილით, „გალათასარაის" მენეჯერმა მეთე რაზლიკმა თქვა: „კითხვაზე პასუხის გაცემა შემეძლება მაშინ, როცა მეოთხედფინალები დამთავრდება. რასაკვირველია, ტურნირის ამ სტადიაზე ყველა ოპონენტი ძლიერია. ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვის შეხვდები. ევროპაში არ არსებობს სუსტი მოწინააღმდეგე. ავიღოთ შვეიცარიული „სტ. გალენის" მაგალითი. ჩვენ მათ მესამე საკვალიფიკაციო რაუნდში შევხვდით. გასვლითი მატჩი 2-0 მოვიგეთ, მაგრამ საპასუხო მატჩისათვის გუნდმა მოახერხა ძალთა მობილიზება და საბოლოოდ ისე გამოვიდა, ჩვენ ბედნიერებიც კი ვიყავით, რომ მოვახერხეთ წყვილიდან გასვლა. ჩვენთვის არა აქვს დიდი მნიშვნელობა იმას, პირველად შინ ვითამაშებთ თუ გასვლაზე. „გალათასარაი" ბოლო ექვსი წელია ამ დონის მატჩებში გამოდის. ამიტომაც აღარ გვეშინია გრანდების. ჩვენ უეფას თასისა და სუპერთასის მფლობელები ვართ. უკვე დავამარცხეთ „რეალი". ყველაფერს დრო გვიჩვენებს. თურქეთის ჩემპიონატში დისკვალიფიცირებულია გუნდის ლიდერი გეორგე ჰაჯი, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. არ დაივიწყოთ, რომ „რეალი" მისი ყოფილი გუნდია".

ხოსე ლუის ლოპეს სერანო — „რეალის" ტექნიკური მენეჯერი: „გალათასარაი" ძლიერი გუნდია. მან უკვე მოგვიგო ერთხელ, მაგრამ ჩვენ გვჯერა საკუთარი ძალების. სტამბოლის მატჩს არ ვანიჭებ დიდ მნიშვნელობას.

„რეალის" ცოცხალი ლეგენდა ***ემილიო ბუტრაგენიო*** „გალათასარაიმ" უკვე დაამტკიცა, რომ ძლიერი გუნდია, ვინაიდან უეფას თასის მფლობელია. ეს იქნება ძალიან მძიმე მატჩი, მაგრამ „რეალს", დღესდღეობით, ძალიან კარგი გუნდი ჰყავს და ამიტომაც ოპტიმისტურად ვეკიდები მატჩის შედეგს. თავისთავად შეიძლება განმეორდეს წინა წლის ფინალი „რეალი" „ვალენსია". მაგრამ მანამდე კიდევ რთული გზაა გასავლელი. ფეხბურთში ყველაფერია მოსალოდნელი და ამიტომაც ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ".

## „მანჩესტერი" - „ბაიერნი"

„ბაიერნის" გენერალურმა მდივანმა ***კარლ ჰოფბერნმა*** განაცხადა: „გულახდილად რომ ვთქვა, ბიჭები სწორედ ამ დაწყვილებაზე ნატრულობდნენ. ჩვენ ბევრი მეგობარი გვყავს „მანჩესტერში" და მათი ნახვა კარგი იქნება. ჩემი აზრით, ორივე გუნდის შანსი თანაბარია. არ ვფიქრობ, ასეთ მატჩში ფავორიტი იყოს. ვიმედოვნებ, რომ ამჯერად იღბალი ჩვენს მხარეს იქნება".

მანჩესტერელთა მდივანმა ***კენ რამსდენმა*** კი განაცხადა: „ბაიერნი" ჩვენი ძველი მეგობარია. გერმანელები ყოველთვის ორგანიზებულნი არიან. რასაკვირველია, უამრავი ისტორიული თამაში გვაკავშირებს, მაგრამ ჩვენ მოვეპყრობით მას როგორც სხვა დანარჩენს. ფსიქოლოგიურად ჩვენ 1999 წლის ფინალს ვუბრუნდებით და დასამტკიცებელი გვაქვს, რომ ის გამარჯვება შემთხვევითი არ ყოფილა. როგორც 1999 წელს, დღესაც საქმე გვაქვს ორი განსხვავებული სტილის გუნდთან, რომელთა ძირითადი აქცენტი შეტევაზე იქნება გადატანილი. ჩემი აზრით მოიგებს ის, ვისაც ნერვები გაუძლებს".

## „არსენალი" - „ვალენსია"

„ვალენსიას" მენეჯერმა ***ფრანცისკო პაკო ალეკრეუმ*** თქვა: „ამ სტადიაზე ყველა გუნდი ძლიერია და ყველას პატივს ვცემთ. „არსენალი" ისტორიულად ძლიერია. ვფიქრობ, რომ ბოლო წლებში „ვალენსიამ" ყველა გრანდის პატივისცემა დაიმსახურა. ჩვენ ძალიან გვინდა ამ წყვილში გამარჯვების მიღწევა. შეიძლება წინა წლის ფინალი განმეორდეს: „რეალი" — ვალენსია". მინდა აღვნიშნო, რომ წინა წელს „რეალი" გვჯობნიდა, მაგრამ დღეს ჩვენ უფრო მეტი მოტივაცია გვექნება მოგებისათვის. ***დევიდ დეინი***, არსენალის კიცე-პრეზიდენტი: „კმაყოფილი ვარ ამ დაწყვილებით. ჩვენ გვეძლევა შანსი, ავიღოთ რევანში 1980 წლის ფინალისთვის. იგი ძალიან ცუდი მოგონებაა და იმედი მაქვს, არსენ ვენგერი და ბიჭები გააკეთებენ ყველაფერს, რათა მეხსიერებიდან საბოლოოდ წაგვეშალოს ეს უსიამოვნო მოგონება. ესპანელები ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ და ჩვენ გვმართებს ყურადღებით ვიყოთ. ტრავმები არ გვაწუხებს, მზად ვართ „ვალენსიასთან" დაპირისპირებისათვის.

## „ლიდსი" - „დეპორტივო"

„დეპორტივოს" მენეჯერი ***ლუის სანჩესი:*** „მოსალოდნელიც იყო, ჩვენი მეწყვილე „ლიდსი" იქნებოდა. ახლა სწორედ მათ ვეთამაშებით და ოპტიმისტურად ვართ განწყობილი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ „ლიდსი" ძალზე ძლიერი გუნდია. არასოდეს გვითამაშია მის წინააღმდეგ, მერჩივნა „არსენალთან" შეხვედრა. ვფიქრობ, რომ სამივე ესპანური გუნდი გავა ნახევარფინალში და ფინალიც ესპანური იქნება".

***პიტერ რიდსეილი*** — „ლიდსის" პრეზიდენტი: „ძალიან ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩვენ ტურნირში ვაგრძელებთ მონაწილეობას, ამიტომაც არ შეიძლება არ მომწონდეს ეს დაწყვილება. მე ყოველთვის ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და ვფიქრობ, რომ „დეპორტივოს" მასიურ ზეწოლასაც გავუძლებთ. ველოდებოდით, რომ მოწინააღმდეგედ ესპანური გუნდი გვეყოლებოდა. დიდი მნიშვნელობა არა აქვს „ვალენსიას" და „დეპორტივოს". ბრწყინვალე ფორმაში ვართ და გვჯერა, ნახევარფინალში გავალთ.

მოამზადა
კოკა ვაშაკიძემ

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## გაუტანდა თუ არა გოლს ტიხონოვი... ფარერის კუნძულების ნაკრებს?

ჩვენ რაღა გვეთქმის ფეხბურთში და ახლა არც რუსეთის ნაკრებია კარგ დღეში. მან საკუთარ მინდორზე ერთადერთი ბურთის წყალობით დაამარცხა, ვინ, ვინ და ფარერის კუნძულების ნაკრები, ორიოდე წლის წინათ რომ საერთოდ არავინ იცნობდა. გაუტანდა თუ არა გოლს ფარერელებს ცნობილი ანდრეი ტიხონოვი მწვრთნელ ოლეგ რომანცევს ასე რომ არ მოეძულებინა? რიტორიკული კითხვაა — შეიძლება, გაეტანა კიდეც.

## ვის არ შეუძლია გოლის გატანა?!

**მთელი შარშანდელი სეზონი „იუვენტუსის" გულშემატკივრების „წუწუნს" ვერ აუდიოდნენ: ალესანდრო (იგივე ალექს) დელ პიეროს თამაში არ გამოუდის, სადღაც „სიღრმეში" მოქმედებს, თუ პენალტი არა, გოლი საერთოდ არ გააქვს... შემდეგ ნათელი გახდა, რომ საქმე უუნარობაში კი არა, უმძიმესი ტრავმის შედეგებში იყო, რომლის დაძლევას დიდი დრო დასჭირდა. რომ სწორედ დროში იყო საქმე, ახლა ყველაფერი ნათლად გამოჩნდა: დელ პიეროს უკვე „იუვენტუსშიც" გააქვს გოლი და ნაკრებშიც.**

## „ყველაზე დიდ პატივს „მანჩესტერ იუნაიტედს" ვცემ"...

ასე განაცხადა მიუნხენის „ბაიერნის" ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ჯოვანე ელბერმა. პირიქით, მას არ მოსწონს ლონდონის „არსენალი": „ხომ ნახეთ, რა დღეში ჩააგდო „მანჩესტერ იუნაიტედმა" ჩემპიონატის მატჩში „არსენალი"...

ახლა ელბერს უკვე უშუალო შეხვედრაში მოუხდება იმაში დარწმუნება, თუ რას წარმოადგენს „მანჩესტერ იუნაიტედი" და თუ მოახერხებს ადრინდელი მარცხის რევანშიც აიღოს.

## ხელი გაანძრიე და...

**მას შემდეგ, რაც მძიმე ტრავმამოშუშებული ვიერი მილანის „ინტერს" დაუბრუნდა, იგი საკმაოდ დუნედ თამაშობს და თითქოს ადრინდელი, სნაიპერის თვისებები დაკარგული აქვს. იგი ადრეც გამოირჩეოდა კლუბების ხშირი ცვლით (ერთ სეზონზე მეტს არსად ჩერდებოდა), ახლა კი ამბობს, რომ თუ „ინტერმა" ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის უფლება ვერ მოიპოვა, კლუბს მიატოვებს — უეფას თასი სულაც არ აინტერესებს. ამაზე ვიერის უპასუხებენ ხოლმე, რომ სჯობს ხელი (ფეხი) გაანძრიოს, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა ახლაც შეიძლება.**

## მაისურზე გვარს უცხოურ ენაზე ნუ დაწერთ!

რუსეთის საფეხბურთო კავშირის საკონტროლო-სადისციპლინო კომიტეტმა რეგლამენტის დარღვევისათვის ათასი რუბლით დააჯარიმა ვორონეჟის „ფაკელი". კლუბმა დაარღვია საშეჯიბრო რეგლამენტის ის პუნქტი, რომელიც კრძალავს მაისურზე ფეხბურთელთა გვარების უცხოურ ენაზე დაწერას!

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ბართლომეს ღამე მოსკოვში

**შაბათს საღამოს მოსკოვის საფეხბურთო გუნდების ცსკასა და „სპარტაკის" მატჩში მოხდა შეტაკება გულშემატკივრებს შორის, რის გამოც სამედიცინო დახმარება გაუწიეს 52 ადამიანს, 27 საავადმყოფოში დააწვინეს.**

**ფანებს შორის ჩხუბი ჯერ კიდევ მატჩამდე ატყდა, სტადიონთან მისასვლელ გზებზე. მერე საბრძოლო მოქმედებებმა უშუალოდ „ლუჟნიკებზე" გადაინაცვლა. 3400 ამძვრალი და ნაფოტებად ქცეული პლასტმასის სკამი, 500 დაპატიმრებული გულშემატკივარი. ზარალმა 40 ათასი დოლარი შეადგინა.**

## დელ ბოსკე – 2003 წლამდე

როცა ვისენტე დელ ბოსკე, რომელიც, ვინ იცის, რამდენი წელია მადრიდის „რეალის" შტატიანი თანამშრომელია, გუნდის მთავარ მწვრთნელად დანიშნეს, მას „დროებით ფიგურად" მიიჩნევდნენ, ვიდრე ვინმეს ნახავდნენ და შეცვლიდნენ.

სინამდვილეში კი დადასტურდა, რომ მას სათანადოდ არ აფასებდნენ. ახლა, როცა „რეალში" ყველაფერი წესრიგშია, მასთან ხელშეკრულება 2003 წლამდე გააგრძელეს.

## რიკელმე ბარსელონისაკენ გამოემგზავრება?

**ბუენოს-აიერსის „რივერ პლეიტის" ახალგაზრდა ნახევარმცველი ახლა თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების წამყვანი ფეხბურთელიცაა, ბევრი ევროპული კლუბის დავის საგანი გახდა. მიზანთან ყველაზე ახლოსაა „ბარსელონა", რომელთანაც ახლა არგენტინელებს მოლაპარაკება აქვთ. მათ რიკელმეში 22 მილიონი დოლარი სურთ და თუ რაიმე უთანხმოება არ მოხდა, აგვისტოდან ნახევარმცველი უკვე ესპანეთში ითამაშებს.**

## მამაჩემი პორტუგალიელია, დედა – ესპანელი...

... მე კი ფრანგი ვარ" — ამბობს გამოჩენილი ფეხბურთელი, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი რობერ პირესი. იგი ლონდონის „არსენალში" თამაშობს და იქაც ფრანგულ გარემოცვაშია — გარდა მწვრთნელ არსენ ვენგერისა, რამდენიმე პარტნიორიც ფრანგი ჰყავს.

პირესი გამთამაშებელია, როცა ზიდანი მატჩში არ მონაწილეობს, მაშინ სწორედ პირესი ზიდანობს.

## როცა ხეირი შარად ექცა

**ხომ გაგიგონიათ ცნობილი გამოთქმა: შარი ხეირად ექცაო. „ლიდს იუნაიტედის" ახალგაზრდა მცველ ალან მეიბერის პირიქით მოუვიდა. ეცადა, ბევრი ეცადა დაერწმუნებინა მწვრთნელი დევიდ ო'ლირი — იგი ძირითად შემადგენლობაში გამოეყვანა. ამას რომ მიაღწია, „ლაციოსთან" შეხვედრაში მძიმედ დაშავდა და მინდვრიდან საკაცით გაიტანეს...**

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

# მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

## სამხრეთ ამერიკა

| | | | I წრე | II წრე |
|---|---|---|---|---|
| | | | | 14/15-11-2000 |
| ურუგვაი | — | ბოლივია | 1-0 | 0-0 |
| კოლუმბია | — | ბრაზილია | 0-0 | 0-1 |
| პერუ | — | პარაგვაი | 2-0 | 1-5 |
| არგენტინა | — | ჩილე | 4-1 | 2-0 |
| ეკვადორი | — | ვენესუელა | 2-0 | 2-1 |
| | | | | 27/28-3-2001 |
| ვენესუელა | — | არგენტინა | 0-4 | 0-5 |
| ბრაზილია | — | ეკვადორი | 3-2 | 0-1 |
| პარაგვაი | — | ურუგვაი | 1-0 | 1-0 |
| ჩილე | — | პერუ | 1-1 | 1-3 |
| ბოლივია | — | კოლუმბია | 1-1 | 0-2 |
| | | | | 24/25-4-2001 |
| პერუ | — | ბრაზილია | 0-1 | |
| არგენტინა | — | ბოლივია | 1-0 | |
| პარაგვაი | — | ეკვადორი | 1-0 | |
| ურუგვაი | — | ჩილე | 2-1 | |
| კოლუმბია | — | ვენესუელა | 3-0 | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | 2/3-6-2001 |
| ბრაზილია | — | ურუგვაი | 1-1 |
| კოლუმბია | — | არგენტინა | 1-3 |
| ვენესუელა | — | ბოლივია | 4-2 |
| ჩილე | — | პარაგვაი | 3-1 |
| ეკვადორი | — | პერუ | 2-1 |
| | | | 14/15-8-2001 |
| პარაგვაი | — | ბრაზილია | 2-1 |
| არგენტინა | — | ეკვადორი | 2-0 |
| ბოლივია | — | ჩილე | 1-0 |
| პერუ | — | კოლუმბია | 0-1 |
| ურუგვაი | — | ვენესუელა | 3-1 |
| | | | 4/5-9-2001 |
| ბრაზილია | — | არგენტინა | 3-1 |
| ბოლივია | — | პარაგვაი | 0-0 |
| ვენესუელა | — | ჩილე | 0-2 |
| ურუგვაი | — | პერუ | 0-0 |
| ეკვადორი | — | კოლუმბია | 0-0 |
| | | | 6/7-10-2001 |
| კოლუმბია | — | ურუგვაი | 1-0 |
| ჩილე | — | ბრაზილია | 3-0 |
| ეკვადორი | — | ბოლივია | 2-0 |
| არგენტინა | — | პარაგვაი | 1-1 |
| პერუ | — | ვენესუელა | 1-0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | 7/8-11-2001 |
| პერუ | — | არგენტინა | 1-2 |
| ბრაზილია | — | ბოლივია | 5-0 |
| ურუგვაი | — | ეკვადორი | 4-0 |
| ჩილე | — | კოლუმბია | 0-1 |
| პარაგვაი | — | ვენესუელა | 3-0 |
| | | | 13/14-11-2001 |
| არგენტინა | — | ურუგვაი | 2-1 |
| ვენესუელა | — | ბრაზილია | 0-6 |
| კოლუმბია | — | პარაგვაი | 0-2 |
| ეკვადორი | — | ჩილე | 1-0 |
| ბოლივია | — | პერუ | 1-0 |



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 11 | 9 | 1 | 1 | 27-8 | 28 |
| პარაგვაი | 11 | 7 | 2 | 2 | 19-9 | 23 |
| ბრაზილია | 11 | 6 | 2 | 3 | 21-10 | 20 |
| ეკვადორი | 11 | 6 | 1 | 4 | 13-14 | 19 |
| კოლუმბია | 11 | 5 | 3 | 3 | 10-7 | 18 |
| ურუგვაი | 11 | 4 | 3 | 4 | 12-8 | 15 |
| პერუ | 11 | 3 | 2 | 6 | 10-14 | 11 |
| ჩილე | 11 | 3 | 1 | 7 | 12-16 | 10 |
| ბოლივია | 11 | 2 | 3 | 6 | 5-16 | 9 |
| ვენესუელა | 11 | 1 | 0 | 10 | ა-33 | 3 |



# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

## ესპანეთი
### მეორე დივიზიონი. XXVIII ტური

| | |
|---|---|
| რეალი – ნუმანსია | 1-0 |
| დეპორტივო – ვილიარეალი | 4-2 |
| ვალენსია – ესპანიოლი | 0-1 |
| მალაგა – სელტა | 1-4 |
| ოვიედო – ალავესი | 3-3 |
| ვალიადოლიდი – რაიო ვალ. | 1-3 |
| რასინგი – სარაგოსა | 2-1 |
| მალიორკა – სოსიედადი | 1-1 |
| ბარსელონა – ლას პალმასი | 4-1 |
| ბილბაო – ოსასუნა | 0-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 28 | 18 | 5 | 5 | 61-30 | 59 |
| დეპორტივო | 28 | 16 | 6 | 6 | 56-33 | 54 |
| ბარსელონა | 28 | 14 | 7 | 8 | 59-39 | 49 |
| ვალენსია | 28 | 14 | 7 | 7 | 43-22 | 49 |
| მალიორკა | 28 | 12 | 10 | 6 | 38-34 | 46 |
| ვილიარეალი | 28 | 12 | 6 | 10 | 40-36 | 42 |
| სელტა | 28 | 11 | 8 | 9 | 39-39 | 41 |
| ალავესი | 28 | 11 | 7 | 10 | 42-37 | 40 |
| ესპანიოლი | 28 | 11 | 6 | 11 | 35-30 | 39 |
| მალაგა | 28 | 11 | 5 | 12 | 45-46 | 38 |
| რაიო | 28 | 9 | 10 | 9 | 48-47 | 37 |
| ბილბაო | 28 | 9 | 9 | 10 | 36-40 | 36 |
| ლას პალმასი | 28 | 10 | 5 | 13 | 29-47 | 35 |
| სარაგოსა | 28 | 7 | 11 | 10 | 39-41 | 32 |
| ვალიადოლ. | 28 | 7 | 11 | 10 | 31-35 | 32 |
| ოვიედო | 28 | 9 | 5 | 14 | 38-51 | 32 |
| ოსასუნა | 28 | 6 | 9 | 13 | 31-43 | 27 |
| ნუმანსია | 28 | 7 | 6 | 15 | 27-47 | 27 |
| რასინგი | 28 | 7 | 5 | 16 | 34-48 | 26 |
| სოსიედადი | 28 | 6 | 8 | 14 | 30-56 | 26 |

## პოლონეთი
### XVIII ტური

| | |
|---|---|
| ვიძევი – ვისლა | 3-0 |
| სტომილი – ამიცა | 2-1 |
| რაძიონკოვი – ზაგლები | 2-1 |
| ოდრა – შლიონსკი | 1-1 |
| პოგონი – რუხი | 3-3 |
| გროცლინი – ლეგია | 0-1 |
| გურნიკი – პლოცკი | 1-0 |
| პოლონია – კატოვიცე | 1-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 18 | 12 | 3 | 3 | 44-17 | 39 |
| ლეგია | 18 | 10 | 6 | 2 | 30-14 | 36 |
| პოგონი | 18 | 11 | 3 | 4 | 26-16 | 36 |
| პოლონია | 18 | 8 | 4 | 5 | 26-16 | 31 |
| ზაგლები | 18 | 9 | 2 | 7 | 29-23 | 29 |
| ამიცა | 18 | 7 | 4 | 7 | 31-29 | 25 |
| ოდრა | 18 | 6 | 5 | 7 | 19-27 | 23 |
| კატოვიცე | 18 | 4 | 10 | 4 | 15-13 | 22 |
| ვიძევი | 18 | 6 | 4 | 8 | 26-33 | 22 |
| სტომილი | 18 | 6 | 4 | 8 | 15-24 | 22 |
| შლიონსკი | 18 | 5 | 5 | 8 | 19-25 | 20 |
| გურნიკი | 18 | 5 | 4 | 9 | 17-21 | 19 |
| რუხი | 18 | 5 | 4 | 9 | 22-30 | 19 |
| რაძიონკოვი | 18 | 6 | 1 | 11 | 17-30 | 19 |
| გროცლინი | 18 | 4 | 6 | 8 | 16-23 | 18 |
| პლოცკი | 18 | 5 | 3 | 10 | 22-33 | 18 |

## პორტუგალია
### I ლიგა. XXVI ტური

| | |
|---|---|
| მარიტიმუ – ბოავიშტა | 1-1 |
| კამპომაიორენსე – ბენფიკა | 1-1 |
| სალგეირუში – ბრაგა | 3-4 |
| ფერეირა – ბელენენსეში | 2-2 |
| ფარენსე – ამადორა | 2-0 |
| გიმარაეში – ლეირია | 0-1 |
| ჟილ ვისენტე – ავეში | 1-0 |
| ალვერკა – პორტუ | 1-3 |
| სპორტინგი – ბეირა მარი | (02.04) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 26 | 16 | 8 | 2 | 47-15 | 56 |
| ბრაგა | 26 | 14 | 8 | 4 | 44-31 | 50 |
| პორტუ | 25 | 15 | 4 | 6 | 49-23 | 49 |
| სპორტინგი | 25 | 15 | 4 | 6 | 47-28 | 49 |
| ბენფიკა | 26 | 13 | 6 | 7 | 43-29 | 45 |
| ბელენენსეში | 26 | 11 | 7 | 8 | 30-25 | 40 |
| ბეირა მარი | 25 | 11 | 5 | 9 | 32-33 | 38 |
| ფერეირა | 26 | 9 | 10 | 7 | 32-25 | 37 |
| ლეირია | 26 | 9 | 10 | 7 | 31-33 | 37 |
| სალგეირუში | 26 | 11 | 3 | 12 | 31-40 | 36 |
| ფარენსე | 26 | 9 | 8 | 9 | 29-32 | 35 |
| მარიტიმუ | 25 | 9 | 7 | 9 | 25-25 | 34 |
| ალვერკა | 26 | 9 | 5 | 12 | 36-42 | 32 |
| ჟილ ვისენტე | 26 | 6 | 6 | 14 | 22-34 | 24 |
| გიმარაეში | 26 | 5 | 8 | 13 | 32-44 | 23 |
| კამპომაიორ. | 26 | 4 | 10 | 12 | 23-44 | 22 |
| ამადორა | 26 | 3 | 5 | 18 | 21-43 | 14 |
| ავეში | 26 | 2 | 8 | 16 | 19-47 | 14 |

## საფრანგეთი
### თასის 1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| გრენობლი – ტრუა | 2-4 (დ.დ.) |
| ნანტი – ოსერი | 4-1 (დ.დ.) |
| ამიენი – რეიმსი | 1-0 |
| სტრასბური – ლიორი | 3-0 |

## იტალია
### სერია A. XXIV ტური

| | |
|---|---|
| ბარი – ლეჩე | 3-2 |
| ვიჩენცა – ფიორენტინა | 1-1 |
| ატლანტა – ნაპოლი | 1-1 |
| იუვენტუსი – ბრეშა | 1-1 |
| პარმა – ბოლონია | 0-0 |
| პერუჯა – ინტერი | 2-3 |
| რეჯინა – უდინეზე | 1-1 |
| რომა – ვერონა | 3-1 |
| მილანი – ლაციო | 1-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 24 | 18 | 4 | 2 | 47-18 | 58 |
| იუვენტუსი | 24 | 14 | 7 | 3 | 41-20 | 49 |
| ლაციო | 24 | 14 | 4 | 6 | 44-27 | 46 |
| პარმა | 24 | 11 | 7 | 6 | 38-21 | 40 |
| ატალანტა | 24 | 9 | 10 | 5 | 29-20 | 37 |
| ინტერი | 24 | 10 | 7 | 7 | 32-28 | 37 |
| მილანი | 24 | 9 | 9 | 6 | 38-35 | 36 |
| ბოლონია | 24 | 9 | 6 | 9 | 29-29 | 33 |
| პერუჯა | 24 | 8 | 7 | 9 | 30-33 | 31 |
| ფიორენტინა | 24 | 6 | 12 | 6 | 38-34 | 30 |
| უდინეზე | 24 | 9 | 2 | 13 | 37-41 | 29 |
| ლეჩე | 24 | 7 | 8 | 9 | 31-38 | 29 |
| ვიჩენცა | 24 | 6 | 6 | 12 | 23-35 | 24 |
| ვერონა | 24 | 6 | 6 | 12 | 29-44 | 24 |
| ნაპოლი | 24 | 5 | 8 | 11 | 24-36 | 23 |
| ბრეშა | 24 | 4 | 10 | 10 | 26-36 | 22 |
| რეჯინა | 24 | 5 | 5 | 14 | 18-37 | 20 |
| ბარი | 24 | 5 | 4 | 15 | 21-43 | 19 |

## საბერძნეთი
### XXIV ტური

| | |
|---|---|
| კალამატა – ოლიმპიაკოსი | 0-1 |
| პაოკი – ქსანთი | 3-0 |
| პანაჰაიკი – იანინა | 2-1 |
| პანათინაიკოსი – ირაკლისი | 2-1 |
| აეკ – პანიონისი | 5-1 |
| პანილიაკოსი – ათინაიკოსი | 3-0 |
| ოფი – ეთნიკოსი | 2-2 |
| იონიკოსი – არისი | 2-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკ. | 24 | 21 | 2 | 1 | 68-16 | 65 |
| პანათინაიკ. | 24 | 16 | 5 | 3 | 44-14 | 53 |
| აეკ | 24 | 14 | 4 | 6 | 49-30 | 46 |
| პაოკი | 24 | 12 | 7 | 5 | 51-37 | 43 |
| ირაკლისი | 24 | 12 | 3 | 9 | 36-29 | 39 |
| არისი | 24 | 11 | 4 | 9 | 27-26 | 37 |
| იონიკოსი | 24 | 10 | 7 | 7 | 35-34 | 38 |
| ქსანთი | 24 | 9 | 4 | 11 | 17-26 | 31 |
| პანიონისი | 24 | 6 | 9 | 9 | 28-34 | 27 |
| ეთნიკოსი | 24 | 7 | 5 | 12 | 24-42 | 26 |
| პანაჰაიკი | 24 | 6 | 6 | 12 | 30-44 | 24 |
| იანინა | 24 | 5 | 8 | 11 | 31-42 | 23 |
| პანილიაკოსი | 24 | 5 | 7 | 12 | 21-35 | 22 |
| ოფი | 24 | 4 | 8 | 12 | 27-44 | 20 |
| ათინაიკოსი | 24 | 5 | 4 | 15 | 31-48 | 19 |
| კალამატა | 24 | 3 | 9 | 12 | 31-49 | 18 |

## ჰოლანდია
### I დივიზიონი. XXVI ტური

| | |
|---|---|
| ტილბურგი – როდა | 1-1 |
| ჰერენვენი – როზენდალი | 2-0 |
| პსვ – ტვენტე | 2-1 |
| ალკმაარი – გრააფსხაპი | 0-1 |
| ბრედა – სიტარდი | 1-0 |
| სპარტა – უტრეხტი | 0-1 |
| ვალვაიკი – ფეიენოორდი | 2-0 |
| გრონინგენი – ვიტესი | 0-1 |
| ნაიმეგენი – აიაქსი | 1-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 26 | 19 | 6 | 1 | 56-16 | 63 |
| ფეიენოორდი | 26 | 18 | 2 | 6 | 54-25 | 56 |
| აიაქსი | 26 | 15 | 5 | 6 | 69-31 | 50 |
| ვალვაიკი | 26 | 13 | 8 | 5 | 36-21 | 47 |
| ვიტესი | 26 | 13 | 7 | 6 | 45-36 | 46 |
| როდა | 26 | 13 | 6 | 7 | 46-31 | 45 |
| ტილბურგი | 26 | 10 | 8 | 8 | 46-38 | 38 |
| უტრეხტი | 25 | 11 | 5 | 9 | 41-39 | 38 |
| ნაიმეგენი | 26 | 8 | 13 | 5 | 33-30 | 37 |
| ჰერენვენი | 25 | 8 | 10 | 7 | 32-31 | 34 |
| ბრედა | 25 | 9 | 6 | 10 | 32-37 | 33 |
| გრონინგენი | 26 | 7 | 7 | 12 | 30-38 | 28 |
| ტვენტე | 25 | 7 | 7 | 11 | 37-50 | 28 |
| ალკმაარი | 26 | 7 | 6 | 13 | 35-51 | 27 |
| სპარტა | 26 | 5 | 5 | 16 | 35-57 | 20 |
| გრააფსხაპი | 26 | 6 | 2 | 18 | 30-55 | 20 |
| სიტარდი | 26 | 4 | 6 | 16 | 18-49 | 18 |
| როზენდალი | 26 | 4 | 1 | 21 | 31-71 | 13 |

## დანია
### XXI ტური

| | |
|---|---|
| ოლბორგი – ორჰუსი | 5-1 |
| ჰადერსლევი – მიდტიულან. | 2-3 |
| აკადემისკი – ჰერფიოლგე | 0-0 |
| ოდენსე – ლიუნგბიუ | 1-1 |
| ბრონდბიუ – კოპენჰაგენი | 1-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სილკებორგი | 20 | 10 | 8 | 2 | 32-24 | 38 |
| კოპენჰაგენი | 21 | 10 | 7 | 4 | 35-19 | 37 |
| ბრონდბიუ | 21 | 11 | 3 | 7 | 51-28 | 36 |
| მიდტიულ. | 21 | 10 | 6 | 5 | 39-32 | 36 |
| ლიუნგბიუ | 21 | 11 | 3 | 7 | 34-34 | 36 |
| ვიბორგი | 20 | 10 | 4 | 6 | 35-21 | 34 |
| ოდენსე | 21 | 9 | 3 | 9 | 33-27 | 30 |
| ოლბორგი | 21 | 8 | 6 | 7 | 34-32 | 30 |
| ორჰუსი | 21 | 7 | 2 | 12 | 29-43 | 23 |
| აკადემისკი | 21 | 4 | 8 | 9 | 28-33 | 20 |
| ჰერფიოლგე | 21 | 4 | 6 | 11 | 23-42 | 18 |
| ჰადერსლევი | 21 | 1 | 4 | 16 | 21-59 | 7 |

## ჩეხეთი
### XXI ტური

| | |
|---|---|
| სლავია – ტეპლიცე | 3-0 |
| ბლშანი – ბოჰემიანსი | 0-0 |
| ბუდეიოვიცე – სიგმა | 3-1 |
| იაბლონეცი – პრშიბრამი | 2-1 |
| ჟივკოვი – ბრნო | 1-1 |
| პლზენი – ლიბერეცი | 1-0 |
| სინოტი – ბანიკი | 2-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 20 | 16 | 2 | 2 | 53-19 | 50 |
| სიგმა | 21 | 10 | 7 | 4 | 38-22 | 37 |
| პრჟიბრამი | 21 | 10 | 5 | 6 | 33-22 | 35 |
| ტეპლიცე | 21 | 10 | 3 | 8 | 35-25 | 33 |
| ლიბერეცი | 21 | 9 | 4 | 8 | 31-29 | 31 |
| ჟიჟკოვი | 21 | 8 | 7 | 6 | 33-33 | 31 |
| სლავია | 21 | 7 | 9 | 5 | 30-26 | 30 |
| სინოტი | 21 | 7 | 8 | 6 | 28-24 | 29 |
| ბოჰემიანსი | 21 | 6 | 9 | 6 | 27-27 | 27 |
| დრნოვიცე | 20 | 7 | 5 | 8 | 21-23 | 26 |
| იაბლონეცი | 21 | 6 | 7 | 8 | 19-28 | 25 |
| ბანიკი | 21 | 5 | 8 | 8 | 21-32 | 23 |
| ბლშანი | 21 | 5 | 7 | 9 | 18-26 | 22 |
| ბრნო | 21 | 5 | 5 | 11 | 17-26 | 20 |
| ბუდეიოვიცე | 21 | 4 | 6 | 11 | 27-46 | 18 |
| პლზენი | 21 | 3 | 6 | 12 | 18-42 | 15 |



არსენალი – ტოტენჰემი 2-0

## ავსტრია
### XXVII ტური

| | |
|---|---|
| ადმირა – გრაცერი | 1-0 |
| რაპიდი – რიდი | 1-1 |
| შტურმი – ბრეგენცი | 3-1 |
| ლინცერი – აუსტრია | 4-1 |
| ზალცბურგი – ტიროლი | 0-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 27 | 14 | 7 | 6 | 49-25 | 49 |
| რაპიდი | 27 | 13 | 8 | 6 | 49-30 | 47 |
| აუსტრია | 27 | 12 | 6 | 9 | 39-28 | 42 |
| შტურმი | 27 | 12 | 5 | 10 | 44-34 | 41 |
| გრაცერი | 27 | 11 | 6 | 10 | 35-31 | 39 |
| ზალცბურგი | 27 | 10 | 8 | 9 | 36-33 | 38 |
| რიდი | 27 | 9 | 7 | 11 | 38-39 | 34 |
| ადმირა | 27 | 7 | 7 | 13 | 23-53 | 28 |
| ლინცერი | 27 | 6 | 9 | 12 | 32-50 | 27 |
| ბრეგენცი | 27 | 7 | 5 | 15 | 33-55 | 26 |

## რუსეთი
### III ტური

| | |
|---|---|
| როტორი – ჩერნომორეცი | 3-0 |
| როსტსელმაში – სოკოლი | 1-2 |
| ფაკელი – ანჟი | 0-1 |
| სატურნი – ლოკომოტივი | 0-0 |
| დინამო – ალანია | 2-0 |
| კრ. სოვეტოვი – ტორპედო | 3-0 |
| სპარტაკი – ცსკა | 1-0 |
| ტორპედო-ზილ – ზენიტი | 0-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრ. სოვეტ. | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 9 |
| ზენიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| სპარტაკი | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| სოკოლი | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| ანჟი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| სატურნი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| ლოკომოტ. | 3 | 1 | 2 | 0 | 1-0 | 5 |
| როტორი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-1 | 4 |
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| ფაკელი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| ჩერნომორ. | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| ტორპედო | 3 | 0 | 2 | 1 | 3-6 | 2 |
| როსტსელმ. | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| ტორპ.-ზილ | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| ალანია | 3 | 0 | 0 | 3 | 0-4 | 0 |
| ცსკა | 3 | 0 | 0 | 3 | 0-6 | 0 |

## შვეიცარია
### „ა" ჯგუფები. V ტური

| | |
|---|---|
| ლოზანა – სერვეტი | 2-1 |
| სიონი – სტ. გალენი | 2-1 |
| ლუგანო – გრასჰოპერსი | 0-0 |
| ციურიხი – ბაზელი | 0-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-5 | 26 |
| ლოზანა | 5 | 2 | 2 | 1 | 7-7 | 26 |
| გრასჰოპერსი | 5 | 2 | 2 | 1 | 3-3 | 26 |
| სტ. გალენი | 5 | 2 | 0 | 3 | 10-12 | 26 |
| ციურიხი | 5 | 2 | 2 | 1 | 3-2 | 24 |
| სერვეტი | 5 | 2 | 0 | 3 | 9-6 | 23 |
| ბაზელი | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 23 |
| ლუგანო | 5 | 0 | 2 | 3 | 4-9 | 23 |

### „ა/ბ" ჯგუფი. V ტური

| | |
|---|---|
| ვინტერთური – არაუ | 1-2 |
| იანგ ბოისი – ივერდონი | 3-2 |
| ლუცერნი – ბელინცონა | 2-0 |
| ვილი – ქსამაქსი | 2-4 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუცერნი | 5 | 3 | 1 | 1 | 9-4 | 10 |
| ქსამაქსი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-5 | 8 |
| იანგ ბოისი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-4 | 8 |
| ვინტერთ. | 5 | 2 | 1 | 2 | 6-6 | 7 |
| ბელინცონა | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 5 |
| ვილი | 5 | 0 | 4 | 1 | 4-6 | 4 |
| არაუ | 5 | 1 | 1 | 3 | 2-7 | 4 |
| ივერდონი | 5 | 0 | 3 | 2 | 6-8 | 3 |

## შოტლანდია
### XXXII ტური

| | |
|---|---|
| დანდი – კილმარნოკი | 2-2 |
| ჰართსი – მოზერუელი | 3-0 |
| რეინჯერსი – დანდი იუნ. | 0-2 |
| სტ. მირენი – დანფერმლაინი | 1-1 |
| სტ. ჯონსტონი – ჰიბერნიანი | 2-0 |
| აბერდინი – სელტიკი | 0-1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 31 | 26 | 4 | 1 | 78-23 | 82 |
| რეინჯერსი | 31 | 21 | 3 | 7 | 58-30 | 66 |
| ჰიბერნიანი | 32 | 17 | 9 | 6 | 52-25 | 60 |
| ჰართსი | 32 | 13 | 7 | 12 | 51-43 | 46 |
| კილმარნოკი | 31 | 13 | 7 | 11 | 36-41 | 46 |
| დანფერმლ. | 32 | 11 | 8 | 13 | 31-46 | 41 |
| დანდი | 31 | 10 | 8 | 13 | 44-39 | 38 |
| მოზერუელი | 32 | 10 | 6 | 16 | 36-48 | 36 |
| სტ. ჯონსტ. | 32 | 8 | 11 | 13 | 35-47 | 35 |
| აბერდინი | 31 | 7 | 12 | 12 | 33-44 | 33 |
| დანდი იუნ. | 31 | 5 | 7 | 19 | 28-53 | 22 |
| სტ. მირენი | 32 | 5 | 4 | 23 | 21-63 | 19 |

## ბელგია
### I დივიზიონი. XXVII ტური

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი – მუსკრონი | 3-3 |
| ვესტერლო – ბეერსხოტი | 1-2 |
| ლიერსი – გენტი | 2-0 |
| ანტვერპენი – ლოკერენი | 2-1 |
| სტ. ტრუიდენი – ბრიუგე | 1-2 |
| ბევერენი – ლუვიე | 0-1 |
| აალსტი – მეხელენი | 1-3 |
| ჰარელბეკე – გენკი | 1-2 |
| შარლერუა – სტანდარდი | 2-3 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 27 | 20 | 6 | 1 | 73-24 | 66 |
| ბრიუგე | 27 | 18 | 8 | 1 | 69-21 | 62 |
| სტანდარდი | 27 | 14 | 9 | 4 | 64-33 | 51 |
| გენტი | 27 | 13 | 7 | 7 | 46-38 | 46 |
| მუსკრონი | 27 | 13 | 6 | 8 | 54-37 | 45 |
| ბეერსხოტი | 27 | 14 | 3 | 10 | 49-38 | 45 |
| ლოკერენი | 27 | 12 | 7 | 8 | 40-34 | 43 |
| ვესტერლო | 27 | 12 | 6 | 9 | 48-42 | 42 |
| ლიერსი | 27 | 11 | 6 | 10 | 37-32 | 39 |
| შარლერუა | 27 | 11 | 4 | 12 | 42-49 | 37 |
| გენკი | 27 | 9 | 7 | 11 | 33-37 | 34 |
| ანტვერპენი | 27 | 9 | 4 | 14 | 31-39 | 31 |
| ბევერენი | 27 | 8 | 7 | 12 | 24-48 | 31 |
| აალსტი | 27 | 6 | 6 | 15 | 27-56 | 24 |
| ლუვიე | 27 | 4 | 9 | 14 | 23-46 | 21 |
| ჰარელბეკე | 27 | 6 | 2 | 19 | 30-70 | 20 |
| მეხელენი | 27 | 4 | 7 | 16 | 34-59 | 19 |
| სტ. ტრუიდ. | 27 | 4 | 6 | 17 | 25-46 | 18 |

## გერმანია
### ბუნდესლიგა. XXVII ტური

| | |
|---|---|
| ვოლფსბურგი – ჰანზა | 2-1 |
| ჰერტა – მიუნხენი | 3-0 |
| შტუტგარტი – კიოლნი | 0-3 |
| ჰამბურგი – უნტერჰახინგი | 1-1 |
| ფრაიბურგი – აინტრახტი | 5-2 |
| ბაიერნი – ვერდერი | 2-3 |
| ლევერკუზენი – შალკე | 0-3 |
| კაიზერი – დორტმუნდი | 1-4 |
| ბოხუმი – კოტბუსი | 1-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 27 | 15 | 4 | 8 | 53-31 | 49 |
| დორტმუნდი | 27 | 14 | 6 | 7 | 48-35 | 48 |
| შალკე | 27 | 13 | 7 | 7 | 46-26 | 46 |
| ლევერკუზ. | 27 | 14 | 4 | 9 | 46-33 | 46 |
| ჰერტა | 27 | 15 | 1 | 11 | 50-44 | 46 |
| კაიზერი | 27 | 14 | 4 | 9 | 40-37 | 46 |
| კიოლნი | 27 | 11 | 7 | 9 | 47-39 | 40 |
| ვერდერი | 27 | 11 | 7 | 9 | 39-40 | 40 |
| ვოლფსბურგი | 27 | 10 | 9 | 8 | 51-35 | 39 |
| ფრაიბურგი | 27 | 10 | 9 | 8 | 38-31 | 39 |
| ჰანზა | 27 | 10 | 4 | 13 | 28-39 | 34 |
| მიუნხენი | 27 | 9 | 7 | 11 | 33-45 | 34 |
| ჰამბურგი | 27 | 9 | 6 | 12 | 50-49 | 33 |
| კოტბუსი | 27 | 9 | 2 | 16 | 32-44 | 29 |
| აინტრახტი | 27 | 8 | 5 | 14 | 33-52 | 29 |
| უნტერჰახ. | 27 | 7 | 8 | 12 | 26-45 | 29 |
| შტუტგარტი | 27 | 6 | 9 | 12 | 35-43 | 27 |
| ბოხუმი | 27 | 6 | 5 | 16 | 23-50 | 23 |

## ინგლისი
### პრემიერლიგა. XXXI ტური

| | |
|---|---|
| ლივერპული – მანჩესტერ იუნ. | 2-0 |
| არსენალი – ტოტენჰემი | 2-0 |
| ბრედფორდი – ნიუკასლი | 2-2 |
| ჩელსი – მიდლსბრო | 2-1 |
| ქოვენთრი – დერბი | 2-0 |
| მანჩესტ. სიტი – ასტონ ვილა | 1-3 |
| სანდერლენდი – ლიდსი | 0-2 |
| ვესტ ჰემი – ევერტონი | 0-2 |
| ჩარლტონი – ლესტერი | 2-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტ.იუნ. | 31 | 12 | 7 | 3 | 68-21 | 70 |
| არსენალი | 31 | 16 | 9 | 6 | 49-29 | 57 |
| ლიდსი | 31 | 14 | 8 | 9 | 46-38 | 50 |
| ლივერპული | 29 | 14 | 7 | 8 | 50-31 | 49 |
| იფსვიჩი | 30 | 15 | 4 | 11 | 44-36 | 49 |
| სანდერლ. | 31 | 13 | 9 | 9 | 37-32 | 48 |
| ჩელსი | 30 | 12 | 9 | 9 | 54-38 | 45 |
| ჩარლტონი | 31 | 12 | 9 | 10 | 41-42 | 45 |
| ლესტერი | 30 | 13 | 6 | 11 | 31-33 | 45 |
| საუთჰემპტ. | 29 | 12 | 8 | 9 | 34-34 | 44 |
| ასტონ ვილა | 30 | 10 | 11 | 9 | 34-31 | 41 |
| ტოტენჰემი | 31 | 10 | 9 | 12 | 36-40 | 39 |
| ნიუკასლი | 30 | 11 | 6 | 13 | 36-43 | 39 |
| ვესტ ჰემი | 31 | 8 | 11 | 12 | 35-40 | 35 |
| ევერტონი | 31 | 9 | 8 | 14 | 33-44 | 35 |
| დერბი | 31 | 8 | 11 | 12 | 31-47 | 35 |
| მიდლსბრო | 31 | 6 | 13 | 12 | 34-38 | 31 |
| მანჩ.სიტი | 31 | 6 | 9 | 16 | 34-52 | 27 |
| ქოვენთრი | 31 | 6 | 9 | 16 | 28-51 | 27 |
| ბრედფორდი | 30 | 3 | 9 | 18 | 22-57 | 18 |

## თურქეთი
### XXVI ტური

| | |
|---|---|
| ქოჯაელი – დენიზლი | 4-2 |
| ბურსა – გენჩლერბირლ. | 2-0 |
| ერზრუმი – იეთფა | 2-1 |
| ანკარა – რიზე | 4-0 |
| გალათასარაი – ბეშიქთაში | 2-0 |
| ტრაბზონი – იოზგათი | 1-1 |
| სამსუნი – ისთანბული | 2-3 |
| გაზიანთეფი – ანთალია | 2-0 |
| ფენერბახჩე – ადანა | 4-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბახჩე | 26 | 19 | 4 | 3 | 67-28 | 61 |
| გალათასარაი | 25 | 17 | 4 | 4 | 52-21 | 55 |
| გაზიანთეფი | 26 | 16 | 7 | 3 | 52-28 | 55 |
| ბეშიქთაში | 26 | 15 | 4 | 7 | 54-42 | 49 |
| ანკარა | 26 | 11 | 8 | 7 | 47-44 | 41 |
| ტრაბზონი | 26 | 11 | 6 | 9 | 50-42 | 39 |
| სამსუნი | 26 | 11 | 6 | 9 | 42-37 | 39 |
| ისთანბული | 25 | 10 | 6 | 9 | 37-37 | 36 |
| რიზე | 26 | 10 | 5 | 11 | 35-32 | 35 |
| გენჩლერბ. | 26 | 10 | 3 | 13 | 32-39 | 33 |
| დენიზლი | 26 | 8 | 8 | 10 | 37-44 | 32 |
| ბურსა | 26 | 8 | 7 | 11 | 41-47 | 31 |
| ანთალია | 26 | 8 | 7 | 11 | 37-44 | 31 |
| ქოჯაელი | 26 | 7 | 9 | 10 | 35-44 | 30 |
| იოზგათი | 26 | 6 | 9 | 11 | 34-39 | 27 |
| ერზრუმი | 26 | 5 | 4 | 17 | 29-63 | 19 |
| ადანა | 26 | 2 | 9 | 15 | 38-60 | 15 |
| იეთფა | 26 | 3 | 6 | 17 | 30-58 | 15 |



მილანი – ლაციო 1-0. შევჩენკოსა და კოუტუს ორთაბრძოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პლატინი – ფეხბურთელი, მწვრთნელი, ორგანიზატორი



***საპიზიტო ბარატი. დაიბადა 1955 წლის 21 ივნისს. მოიერიშე ნახევარმცველი. გამთამაშებელი.***
***თამაშობდა „ნანსში", „სენტ-ეტიენში", „იუვენტუსში". ჩაატარა 649 ოფიციალური მატჩი, გაიტანა 384 გოლი. ევროპის 1984 წლის ჩემპიონი, მსოფლიოს სამი ჩემპიონატის (1978, 1982, 1986) მონაწილე, მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩის მონაწილე. 72-ჯერ ითამაშა საფრანგეთის ნაკრებში, 49-ჯერ მისი კაპიტანი იყო, გაიტანა 41 გოლი. საფრანგეთის 1978 წლის თასის მფლობელი „ნანსის" შემადგენლობაში, საფრანგეთის 1981 წლის ჩემპიონი „სენტ-ეტიენის" შემადგენლობაში, იტალიის 1984 და 1985 წლების ჩემპიონი. იტალიის 1983 წლის თასის მფლობელი, თასების თასის 1984 წლისა და ჩემპიონთა ლიგის 1985 წლის თასის მფლობელი. 1984 წელს მოიპოვა სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი, იტალიის ჩემპიონატების საუკეთესო ხნაიპერი 1983 (16 გოლი), 1984 (20 გოლი) და 1985 (18 გოლი) წლებში.***
***1988 წლის ნოემბრიდან 1992 წლის ივლისამდე წვრთნიდა საფრანგეთის ნაკრებს.***

გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს მიშელ პლატინის ერთ-ერთი ინტერვიუდან.

● ***მუსიე პლატინი, რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა საფრანგეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა? ხომ არ მოგერიათ სევდა იმის გამო, რომ ამას თქვენს კარიერაში ვერ მიაღწიეთ?***

— არა, ასეთი გრძნობა არასოდეს მქონია. ძალიან გამიხარდა როგორც ფრანგს, დიდად კმაყოფილი ვიყავი, როგორც ჩემპიონატის ერთ-ერთი ორგანიზატორი. ვფიქრობ, 1982 წელს ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატში პირველი ადგილის ღირსი ვიყავით. ის, რაც ამას წინათ, ახლანდელმა მოთამაშეებმა ჩვენს მაგიერ შეძლეს, ამას არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო ჩვენი გაღიზიანება. პირიქით, ეს იყო 16 წლის წინათ ჩვენი დამარცხების გარკვეული კომპენსაცია. ნამდვილად ბედნიერად ვიგრძენი თავი.

● ***ფრანგი ფეხბურთელების ახლანდელი თაობა მართლა საუკეთესოა მთელი ისტორიის მანძილზე (ამაზე მისი შედეგები მეტყველებს) თუ თავის წარმატებას „პლანეტების ხელსაყრელ განლაგებას" უნდა უმადლოდეს, ვთქვათ, იმას, რომ მეტოქეები ამ მომენტისთვის არც ისე ძლიერები იყვნენ?***

— შედეგები ნაღდია და იგი არავის შეცდომაში არ შეიყვანს. ჩვენი ფეხბურთელების ახლანდელი თაობა ნამდვილად მეტად ძლიერია. მსოფლიო ჩემპიონობა, ისტორიაში პირველად ევროპის ჩემპიონობის მოპოვება მეტყველებს ამაზე. შარშან, ზაფხულში საფრანგეთის ნაკრებმა დაამტკიცა, რომ ღირსეულად უკავია წამყვანი მდგომარეობა თანამედროვე ფეხბურთში. შეიძლება, როგორც თქვით, ერთი დიდი ტურნირის მოგება „პლანეტების ხელსაყრელი განლაგებით", მაგრამ ზედიზედ ორისა — არასოდეს. ეს უკვე ნამდვილი ძალის დამადასტურებელია. საფრანგეთს ძალიან სჭირდებოდა ევროპის ამ ჩემპიონატში გამარჯვება. გულახდილად რომ გითხრათ, მსოფლიო ჩემპიონატში საქმეები ჩვენთვის ძალიან ხელსაყრელად წარიმართა. ორი გამარჯვება დამატებით დროში, ფინალში ჩვენი მეტოქის, ბრაზილიელების გაუგებარი ჩავარდნა, მაყურებლის სრული მხარდაჭერა... რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატს ჰოლანდიასა და ბელგიაში, აქ რაიმე ბედის ღიმილზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. სხვა საკითხია, ფორტუნა რომ ჩვენს წინააღმდეგ მთლიანად შემოტრიალებულიყო, ლემერის გუნდი წარმატებას ნამდვილად ვერ მიაღწევდა. რად ღირს თუნდაც ის ერთი გოლი ფინალის ძირითადი დროის უკანასკნელ წამებზე. დრო რომ დაგვკლებოდა? საერთოდ, კი იტალიელები ჩვენზე ნაკლებად როდი იმსახურებდნენ გამარჯვებას. მართალია, მათ არ უნდა მოეგოთ ნახევარფინალში... თუმცა „იმსახურებდნენ — არ იმსახურებდნენ", ეს ხომ რაციონალური ცნებებია. ფეხბურთი კი ირაციონალურია. სწორედ ამ ირაციონალურობის გამო არის პოპულარული.

● ***სხვადასხვა ეპოქის ნებისმიერი შედარება პირობითია...***

— დიახ, რა თქმა უნდა...

● ***ახლანდელი ნაკრების მულტინაციონალურმა ხასიათმა, რაზეც ბევრს ლაპარაკობდნენ, მართლაც შეასრულა როლი წარმატებაში? მართლაც „გააერთიანა ერი ფეხბურთის გარშემო"?***

— მომიტევეთ, ჩემს დროსაც ხომ ნაკრები სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლებისგან შედგებოდა. გაიხსენეთ 80-იანი წლები: ტიგანა, ჟანვიონი, ტრეზორი, კურიოლა, ზიმაკო. საერთოდ კი, ფრანგი ხალხი ყოველთვის სხვადასხვა ერის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. ამჯერად პოლიტიკოსებს რატომღაც დასჭირდათ ამის ხაზის გასმა. აქ საქმე ისიც არის, რომ ფეხბურთზე ლაპარაკი სხვადასხვა სფეროში პრესტიჟული გახდა. საფრანგეთში ყოველთვის უყვარდათ ფეხბურთი, მაგრამ მას უყურებდნენ, როგორც „გლეხების თავშესაქცევს", ვთქვათ, ჩოგბურთისაგან განსხვავებით. ფრანგები ხომ საშინელი სნობები არიან. ახლა კი, რა მოხდა: გამარჯვება, საყოველთაო ზეიმი, უმაღლესი თანამდებობის პირების გატაცება. და აი, ვიღაცას აზრად მოუვიდა, გაეკეთებინა ღრმა პოლიტიკური დასკვნები... პოლიტიკოსებმა ნახეს, რომ სხვადასხვა ფერისკანიანი ადამიანები ქუჩებს მოედვნენ ხელში ფრანგული დროშებით და თქვეს: „ო! აი ეროვნული იდეა, აი გაერთიანების ფაქტორი!" სინამდვილეში კი, ფეხბურთი ყოველთვის იყო გამაერთიანებელი ფაქტორი, ოღონდ, პოლიტიკოსებმა ეს არ იცოდნენ და ამაზე არ ლაპარაკობდნენ.

● ***გერმანელმა მეკარემ ოლივერ კანმა ამას წინათ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ ფეხბურთი სულს ეშმაკს მიჰყიდის. სხვა სიტყვებით, იგი სულ უფრო ბიზნესი ხდება, სულ ნაკლებად კი თამაშია.***

— დიახ, ეს ასეა. ახლა ფეხბურთში ისეთი დიდი ფული ტრიალებს, რომ წაგებას ხშირად დრამად აღიქვამენ. ადრე ფეხბურთელები წაგების შემდეგ სახელის დაკარგვას უჩიოდნენ, ახლა კი სახელის გატეხასაც უჩივიან და ფულის დაკარგვასაც. დღეს ბევრს ლაპარაკობენ „ფეირ-პლეის" პრინციპებზე. რა არის ეს „ფეირ-პლეი"? ჩემთვის „ფეირ-პლეია" წაგება ღიმილით. მაგრამ ეს ხომ თითქმის შეუძლებელი გახდა. მაგალითისათვის ვთქვათ, რომ, როცა საფრანგეთის ჩემპიონატში კლუბი პირველ დივიზიონს სტოვებს და მეორეში გადადის, იგი დაახლოებით 80 მილიონ ფრანკს (10 მილიონ დოლარზე მეტს) ჰკარგავს.

● ***ამას ვერ შევებრძოლებით...***

— ვერა. უმაღლეს დონეზე ვერ შევებრძოლებით. ტელევიზია და სპონსორები ისეთ თანხებს იხდიან, რომ თამაშის შედეგი ფეხბურთელების მთავარი მიზანი ხდება. ის საპრიზო თანხა, რომელსაც დღეს ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული იღებს, მრავალჯერ აღემატება 20-25 წლის წინანდელი კლუბების ბიუჯეტს. ჩემთვის გასაგებია ოლივერ კანისა და მისი მსგავსი ადამიანების მღელვარება იმის გამო, რომ ფეხბურთი სულს ჰყიდის. რომ შემეძლოს სიტუაციის შეცვლა, აუცილებლად გავაკეთებდი ამას. მაგრამ რა უნდა ვქნა? საერთოდ, რისი გაკეთება შეიძლება?

● ***მერკანტილიზმი საერთოდ დაეუფლა ფეხბურთს. იგი ისეთ ფეხბურთელებსაც ახასიათებს, რომლებიც საერთოდ არ თამაშობენ უმაღლეს დონეზე. მაშინაც კი, როცა ზღაპრულ ჰონორარზე ვერც კი იფიქრებენ, რაც მათთვის მიუწვდომელია, თანამედროვე მოთამაშეები მაინც ეჩვევიან პრაქტიციზმს, ანგარიშიანობას თავისი კარიერის დასაწყისიდანვე...***

— ჩვენ (იმ ადამიანებს ვგულისხმობ, რომლებიც ფეხბურთისადმი გულცივი არ არიან და ინიციატივის საშუალებაც აქვთ) უნდა დავიცვათ ეს თამაში. ფეხბურთი, უწინარეს ყოვლისა, თამაშია, ბურთის თამაში თერთმეტისა თერთმეტის წინააღმდეგ. ჩვენი ამოცანაა ყოველივე იმ საუკეთესოს შენარჩუნება, რასაც ფეხბურთი მაყურებლებსა და თვით ფეხბურთელებს აჩუქებს: ესთეტიკას, საბრძოლო სულისკვეთებას. ფეხბურთელებმა თამაში მომქანცველ სამუშაოდ კი არ უნდა აღიქვან, რომლისთვისაც მათ კომპენსაციის მიღება სურთ, არამედ როგორც გატაცება, რისთვისაც ამავე დროს მათ ფულსაც უხდიან. როგორ უნდა დავიცვათ თამაში? წესების ცვლილებებით, უხეშობასთან ბრძოლით. ეს კეთდება კიდეც. 1990 წელს ფეხბურთის თამაში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მსოფლიო ჩემპიონატმა იტალიაში ყველას ნათლად დაანახვა: თანამედროვე ფეხბურთის მთავარი შემადგენელი ნაწილი სისასტიკე და უხეშობა გახდა. ახლა სიტუაცია მაინც უკეთესობისკენ შეიცვალა.

● ***ფრანგულმა ფეხბურთმა მწვერვალს მიაღწია. მაშ რატომ არ განვითარდა საკლუბო ფეხბურთი?***

— იმიტომ, რომ საუკეთესო ფეხბურთელები საზღვარგარეთ მიდიან.

● ***ეს გასაგებია. მაგრამ, რატომ ხდება ასე?***

— იმიტომ, რომ იმ ქვეყნებში მეტს უხდიან.

● ***რატომ? რატომ ფრანგული ფეხბურთი არ იზიდავს ისეთ ფულს, როგორც ეს ხდება, ვთქვათ, იტალიაში, ესპანეთში, ან ინგლისში? რატომ არ აინტერესებთ ფეხბურთი ფრანგ კომერსანტებს? იმიტომ, რომ ფრანგები საფეხბურთო ერი არ არის?***

— არა მგონია, რომ ეს მთავარი მიზეზი იყოს, თუმცა, იმაში კი მართალი ხართ, რომ საფრანგეთში არ არის ისეთი ინტერესი ფეხბურთისადმი, როგორიც, ვთქვათ, იტალიაში. მთავარი მაინც ეს არ არის. მთავარია იმ შემოსავლისადმი მიდგომა, ტელევიზიით რომ შემოდის. საფრანგეთში მოქმედებს კანონი, რომელიც ტელევიზიიდან მიღებული შემოსავლის ცენტრალიზაციას განაპირობებს. საფრანგეთში ტელევიზიიდან მიღებული შემოსავლიდან ყველა კლუბი თანაბარ თანხას იღებს. იგი კლუბის სურვილზე სულაც არ არის დამოკიდებული. ესპანეთში კი „რეალს", მაგალითად შეუძლია თვით გააფორმოს დამოუკიდებელი ხელშეკრულება ტელევიზიასთან. ამიტომაც ხდება, რომ ძლიერი, მდიდარი კლუბები კიდევ უფრო მდიდრდებიან და ძლიერდებიან. კარგ ფრანგულ კლუბსა და „რეალს" ყველა შემოსავალი შეიძლება ერთნაირი ჰქონდეთ, გარდა სატელევიზიო შემოსავლისა. ამიტომაც არის, რომ „რეალს" შეუძლია მოთამაშეებში უზარმაზარი თანხა გადაიხადოს, რაც ჩვენს კლუბებს, უბრალოდ, არა აქვთ.

● ***როგორი იქნება, თქვენი აზრით, ფეხბურთი XXI საუკუნეში?***

— ძნელი კითხვაა... იგი მნიშვნელოვანწილად მწვრთნელებზეა დამოკიდებული. თუკი ფეხბურთში მეტი ისეთი მწვრთნელი იქნება, როგორიც კრუიფია, ფეხბურთში სანახაობითობა, ესთეტიკური მხარე განვითარდება. თუკი ისეთი მიდგომა გაიმარჯვებს, რომელსაც თანამედროვეს უწოდებენ, როცა ათლეტურობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე იმპროვიზაცია, მაშინ საქმე სულ სხვანაირად იქნება.

● ***თქვენ პირველი მიდგომა უფრო მოგწონთ? საერთოდ, რომელი ფეხბურთი გიზიდავთ ყველაზე მეტად?***

— ყველაზე მეტად დღეისათვის ის ფეხბურთი მომწონს, რომელსაც ესპანეთში თამაშობენ. ამასთან, ყველაზე რთული, ყველაზე ძლიერი ჩემპიონატი მაინც იტალიურია.

● ***კრუიფი ახსენეთ. დიდი ფეხბურთელი იყო და დიდი მწვრთნელი გახდა. რატომ ხდება ძალიან იშვიათად ასე? მაპატიეთ, მაგრამ რატომ თქვენ არა გქონდათ წარმატება, როცა მწვრთნელი გახდით?***

— თქვენ თვლით, რომ მე წარმატება არ მქონდა?

● ...

— მაპატიეთ, მაგრამ საფრანგეთის ნაკრებმა ჩემი ხელმძღვანელობით თითქმის სარეკორდო წაუგებელი სერია წარმართა. სამი წლის მანძილზე არავისთან წაგვიგვია. ევროპის 1992 წლის ჩემპიონატის წინ ყველას ვამარცხებდით, შვეციაში კი სულ ერთი მატჩი წავაგეთ დანიელებთან, რომლებიც შემდეგ ჩემპიონები გახდნენ. იმ მატჩში უპირატესობა გვქონდა, წავაგეთ მას შემდეგ, რაც გადამწყვეტი გოლი უკანასკნელ წუთებზე გაგვიტანეს.

● ***ეს თქვენი უკანასკნელი მატჩი იყო... მაინც, რატომ განაცხადეთ უარი სამწვრთნელო კარიერაზე? თქვენი ძალებისა არ ირწმუნეთ?***

— მოითმინეთ. მწვრთნელი იმიტომ გავხდი, რომ მთხოვეს. ნაკრები მაშინ კრიზისულ მდგომარეობაში იყო, ფედერაციამ კი მომმართა. დავთანხმდი, თუმცა, იმ მომენტში ვერ ვიტყოდი, რომ მაინცდამაინც მწვრთნელობა მსურდა. ვიმუშავე როგორც შემეძლო და როცა დავრწმუნდი, რომ შედეგი ვერ მივიღე, მწვრთნელობას თავი დავანებე.

● ***და მაინც, როგორი შესაძლებლობა აქვს დიდ ფეხბურთელს დიდი მწვრთნელი გახდეს?***

— დიდი ფეხბურთელი შეიძლება დიდი მწვრთნელი გახდეს, მაგრამ დიდი ფეხბურთელობა მაინც არასაკმარისი პირობაა კარგი მწვრთნელობისათვის.

● ***რომელ გუნდში, რომელ პერიოდში მიიღეთ ფეხბურთის თამაშისგან ყველაზე მეტი სიამოვნება?***

— თამაში ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებდა, მთელ ჩემს კარიერაში. შედეგები კი სხვადასხვანაირი იყო: „სენტ ეტიენში" მეტი წარმატება მქონდა, ვიდრე „ნანსში", „იუვენტუსში" გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე „სენტ-ეტიენში". ისე კი, ახალგაზრდობისას უფრო ცოცხალი აღქმები მქონდა, ყველაზე კარგად კი ნაკრებში ვთამაშობდი.

● ***რა უფრო მეტ სიამოვნებას განიჭებდათ, ლამაზი თამაში თუ მოგების შეგრძნება?***

— მათი განცალკევება შეუძლებელია. მიყვარდა ლამაზი თამაშით გამარჯვება. რატომ ვიღებდი ყველაზე მეტ სიამოვნებას ნაკრებში? იმიტომ, რომ ვერ მოვიგებდით ისე, ლამაზად რომ არ გვეთამაშა. ასე დამკვიდრდა, ასეთი ფეხბურთი გვქონდა. როცა ლამაზად თამაშს ვერ ვახერხებდით, ვაგებდით კიდეც. მაშინ კი, როცა ნაკრების მწვრთნელი გავხდი, საქმე სხვანაირად წავიდა. ჩვენ ულამაზოდ უნდა გვეთამაშა, რათა მოგებისთვის მიგვეღწია. ამიტომაც იყო, რომ მწვრთნელობა აღარ მოვინდომე...

● ***თქვენ, როგორც ჩანს, კმაყოფილი ხართ თქვენი კარიერით და არ ნაღვლობთ იმის გამო, რომ მსოფლიო ჩემპიონი ვერ გახდით?***

— არაფერს არ ვნანობ. მთავარია, რომ ამისრულდა ბავშვობის ოცნება: სამჯერ ვითამაშე მსოფლიო პირველობაზე. გამარჯვება, რა თქმა უნდა, დიდი ბედნიერება იქნებოდა, მაგრამ ამის მიუხედავადაც, ჩემს კარიერას იღბლიანად და ბედნიერად ვთვლი.

● ***გვითხარით ზოგი რამ თქვენს ახლანდელ ცხოვრებაზე. თქვენს იდეებზე, გეგმებზე, პროექტებზე.***

— ვარ ფიფას პრეზიდენტის კონსულტანტი, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. მომწონს ზეპ ბლატერთან ურთიერთობა და მუშაობა, იგი ნიადაგ ფიქრობს ფეხბურთის სრულყოფაზე, მის განვითარებაზე, იცავს მას მავნე გავლენისაგან. რაც შეეხება გეგმებს? გეგმები არა მაქვს, წყნარად ვცხოვრობ, თავს ბედნიერად ვგრძნობ. ჩინებული ოჯახი მაქვს. მყავს მეგობრები, ზოგჯერ ფეხბურთს ვთამაშობ, ზოგჯერ გოლფს. მოსაგონარიც ბევრი მაქვს, ზოგჯერ შემიძლია ადამიანებსაც გამოვადგე და ფეხბურთსაც. რა უნდა კიდევ ამის მეტი კაცს?!

მოამზადა
**ბივი თორელმა**



პლატინი ევროპის 1984 წლის ჩემპიონატის საპატიო პრიზით

## ბუნდესლიგის ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერები

2001 წელი. ტომაშ როსიცკი (პრაღის „სპარტიდან" დორტმუნდის „ბორუსიაში") — 25 მილიონი მარკა. 2000 — ლუსიო (ბრაზილიურ „გრემიოდან" ლევერკუზენის „ბაიერში") — 17,5 2000 — ემილ მპენზა (ლიეჟის „სტანდარდიდან" გელზენკირხენის „შალკე 04"-ში) — 17. 2000. ალექს ალვესი (ბრაზილიურ „კრუზეიროდან" ბერლინის „ჰერტაში") — 15,2. 2000. ვილი სანიოლი („მონაკოდან" მიუნხენის „ბაიერნში") — 15. 2000. ჩირიაკო სფორცა („კაიზერსლაუტერნიდან" „ბაიერნში") — 12,8. 1997. ჯოვანე ელბერი („შტუტგარტიდან" „ბაიერნში") — 12,5. 1999. კრისტიან ვიორნსი („პარი სენ-ჟერმენიდან" დორტმუნდის „ბორუსიაში") — 12,5. 1998. ზე რობერტო (ბრაზილიურ „ფლამენგოდან" ლევერკუზენის „ბაიერში") — 12. 2000. ვიქტორ იკპება („მონაკოდან" დორტმუნდის „ბორუსიაში", — 12. 2000. დიეგო პლასენტე („რივერ პლეიტიდან" ლევერკუზენის „ბაიერში") — 12. 2000. სანდი ოლისე (ტურინის „იუვენტუსიდან" დორტმუნდის „ბორუსიაში") — 12. 1994. ანდრეას მიოლერი და ჟულიო სესარი (ტურინის „იუვენტუსიდან" დორტმუნდის „ბორუსიაში") — საერთო თანხა 11,5 მილიონი მარკა. 1999. ფრედი ბობიჩი („შტუტგარტიდან") დორტმუნდის „ბორუსიაში") — 11,5. 1995. ჰაიკო ჰერლიხი (მენხენგლადბახის „ბორუსიიდან" დორტმუნდის „ბორუსიაში") — 10,7 მილიონი მარკა.

## ბრაიან გლენვილს დიდი იმედები არა აქვს

ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა და პოპულარულმა საფეხბურთო მიმომხილველმა ბრაიან გლენვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალების წინ ქვეყნის კლუბების დიდი იმედი ნამდვილად არ აქვს.

მისი აზრით, ვერაფერს გახდება ლონდონის „არსენალი", რომელსაც დიდი პრობლემები აქვს დაცვაშიც და შუა ხაზზეც. ამ სუსტი „პუნქტების" გასამაგრებლად მწვრთნელმა არსენ ვენგერმა არაფერი იზრუნა. როგორ შეიძლება ენდო ისეთ უფერულ მოთამაშეს, როგორიც ჟილ გრიმალდია.

გლენვილი ფიქრობს, რომ „ლიდს იუნაიტედმა", რომლის ახალგაზრდა მოთამაშეებსაც, ცხადია, სათანადო გამოცდილება არა აქვთ, ისედაც ბევრი გააკეთა და შორს წაიწია. მისი მოწინააღმდეგე, ბრწყინვალედ ორგანიზებული „ვალენსია" აშკარა ფავორიტად ითვლება.

„მანჩესტერ იუნაიტედი" ახლა, გლენვილის აზრით, გაცილებით უარესად თამაშობს, ვიდრე, ვთქვათ, რამდენიმე წლის წინათ. აქ მდგომარეობა მაინც უკეთესია, ვიდრე „არსენალსა" და „ლიდს იუნაიტედში". ისე რომ, ფერგიუსონის კლუბს მაინც შესწევს უნარი წარმატებით ებრძოლოს ისეთ მრისხანე გუნდს, როგორიც მიუნხენის „ბაიერნია".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული პლანეტა

## ნბა

### „ჰიუსტონი“ პლეი-ოფის მიღმა რჩება

გუშინ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარულ ჩემპიონატში 10 მატჩი გაიმართა. მოულოდნელად დამთავრდა შეხვედრა ნიუ-ჯერსიში, სადაც ადგილობრივი გუნდი, აღმოსავლეთი კონფერენციის ერთ-ერთი აუტსაიდერი, შინ ეთამაშებოდა „ჰიუსტონს“. სტუმრებმა კვლავ წარუმატებლად ითამაშეს და დამარცხდნენ 98:101. „ჰიუსტონური რაკეტების“ მთავარმა დამრტყმელმა ძალამ ჰაკიმ ოლაჯუივონმა მხოლოდ 10 ქულა მოუტანა გუნდს.

სხვა მატჩები: ლეიკერსი — ნიუ-იორკი 78:79, ტორონტო — ორლანდო 101:104, დეტროიტი — გოლდენ სტეიტი 104:87, ფინიკსი — მილუოკი 106:99, საკრამენტო — დალასი 107:119, ფილადელფია — ინდიანა 104:93, ვანკუვერი — იუტა 73:92, შარლოტი — ბოსტონი 80:79, პორტლენდი — მინესოტო 95:99.



სურათზე: ნიუ-ჯერსი — ჰიუსტონი მასპინძელი ჯონი ნიუმანის შეტევას უვნებელჰყოფს ჰაკიმ ოლაჯუივონი.

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | თ. | მ. | ფ. | % |
|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 73 | 51 | 22 | 69,9 |
| მილუოკი | 73 | 46 | 27 | 63,0 |
| მაიამი | 72 | 43 | 29 | 59,7 |
| ნიუ-იორკი | 73 | 43 | 30 | 58,9 |
| შარლოტი | 71 | 41 | 32 | 56,2 |
| ტორონტო | 73 | 40 | 33 | 54,8 |
| ორლანდო | 73 | 40 | 33 | 54,8 |
| ბოსტონი | 73 | 33 | 40 | 45,2 |
| ინდიანა | 73 | 33 | 40 | 45,2 |
| კლივლენდი | 73 | 26 | 47 | 35,6 |
| დეტროიტი | 73 | 26 | 47 | 35,6 |
| ნიუ-ჯერსი | 76 | 26 | 50 | 34,2 |
| ატლანტა | 74 | 23 | 51 | 31,1 |
| ვაშინგტონი | 73 | 18 | 55 | 24,7 |
| ჩიკაგო | 72 | 12 | 60 | 16,7 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | თ. | მ. | ფ. | % |
|---|---|---|---|---|
| სან-ანტონიო | 73 | 51 | 22 | 69,9 |
| საკრამენტო | 72 | 49 | 23 | 67,1 |
| იუტა | 73 | 49 | 24 | 67,1 |
| ლეიკერსი | 74 | 48 | 26 | 64,9 |
| პორტლენდი | 73 | 47 | 26 | 64,9 |
| დალასი | 73 | 47 | 26 | 64,4 |
| ფინიკსი | 72 | 45 | 27 | 62,5 |
| მინესოტა | 73 | 43 | 30 | 58,9 |
| სიეტლი | 75 | 41 | 34 | 54,7 |
| ჰიუსტონი | 72 | 40 | 34 | 54,1 |
| დენვერი | 74 | 35 | 39 | 47,3 |
| კლიპერსი | 74 | 27 | 47 | 36,6 |
| ვანკუვერი | 74 | 21 | 53 | 28,4 |
| გოლდენ სტ. | 73 | 17 | 56 | 23,3 |

## ფორმულა-1

### კულტჰარდმა „ფერარის“ ჰეგემონია შეწყვიტა

სეზონის მესამე ბრძოლა „ბრაზილიის გრან-პრი“ დრამატიზმით გამოირჩეოდა. აბა ვინ წარმოიდგენდა კოლუმბიელი მონტოიასგან ასეთ გამბედაობას — მან მეტოქეობა გაუწია თვით მიხაელ შუმახერს.

მონტოიას ბრწყინვალე სტარტი ჰქონდა, იგი გერმანელს მხოლოდ ერთი წამით ჩამორჩებოდა, მერე კი ხუან პაბლომ კიდევ უმატა სისწრაფეს, 35 წრე ლიდერის რანგში მოგვევლინა. აი აქ კი, მოხდა გაუთვალისწინებელი — მონტოიას მანქანა ფერსტაპენის ბოლიდს შეეჯახა და კოლუმბიელი, ფაქტობრივად, საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

სწორედ ამ დროს ავანსცენაზე გამოჩნდა „მაკლარენის“ პილოტი, ბრიტანელი დევიდ კულტჰარდი. მან თანდათან ხელთ იგდო ლიდერობა და ფინიშზეც პირველი მივიდა. კიდევ ერთი სიურპრიზი „ზაუბერის“ მრბოლმა ნიკ ჰაიდფელდმა შემოგვთავაზა. იგი მეორე ადგილზე გასულ მიხაელ შუმახერს სულ მცირედით ჩამორჩა.

**ბრაზილიის გრან-პრი**

**1. დევიდ კულტჰარდი (დიდი ბრიტანეთი, „მაკლარენი“) – 1:39.00,384**
**2. მიხაელ შუმახერი (გერმანია, „ფერარი“) – ჩამორჩენა 16,164**
**3. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, „ზაუბერი“) - 1 წრე.**




*მარცხნიდან: შუმახერი, კულტჰარდი და ჰაიდფელდი.*

## მძლეოსნობა

### მარათონელი დისტანციაზე დაიღუპა

***ცნობილ ესპანელ მარათონელს დიეგო გარსიას, ერთ-ერთ საწვთრნელ გარბენში გული გაუსკდა სწორედ იმ ტრასაზე, რომელიც მის სახელს ატარებს. სიკვდილის მომენტში გარსია თავისი მოსწავლის მხარდამხარ დარბოდა. მედიკების განცხადებით, აღიარებული მორბენალი გულს არასოდეს უჩიოდა.***

## ფეხბურთი

### ფიფა გამოძიებას იწყებს, ჰენდრის დიდი უსიამოვნება ელის

ინციდენტი მოხდა შოტლანდიისა და სან-მარინოს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის დროს. კუთხურის ჩამოწოდების დროს შოტლანდიელმა ფეხბურთელმა კოლინ ჰენდრიმ (მან ამ შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა) იდაყვით მეტოქე ფეხბურთელს, 18 წლის ნიკოლა ალბანის სერიოზულად დაუზიანა ყელი. სანმარინოელი სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში.

ფიფას აზრით, ჰენდრიმ განზრახ იუხეშა და იგი სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს. აღსანიშნავია, რომ არც მატჩის არბიტრს, არც სანმარინოელებს არავითარი პროტესტი არ განუცხადებიათ ამ ინციდენტის გამო.



*კოლინ ჰენდრი*

### იტალიამ წინადადებით მიმართა ფიფას

იტალიის საფეხბურთო ასოციაციამ წინადადებით მიმართა ფიფას იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო საშეჯიბრო კალენდარში გამოცხადდეს ოთხკვირიანი შესვენება. გარდა ამისა, იტალიელები სთავაზობენ სათადარიგოთა სკამზე ფეხბურთელების შემცირებას — მათი რიცხვი შვიდს არ უნდა აღემატებოდეს.



### ასე გამოიყურებოდა „ლუჟნიკების“ სტადიონი დარბევის შემდეგ

*მასალა*
*იხ. მე-4 გვ.*

## ფარიკაობა

### ბოსტონში რჩეულმა მოფარიკავეებმა იასპარეზეს

ამერიკის ქალაქ ბოსტონში მიმდინარე მსოფლიო თასის გათამაშებაში ხმლით მოფარიკავეებმა უკვე დაასრულეს ასპარეზობა.

ვაჟებში ოქროს მედალი მოიპოვა რუმინელმა მიხაი კოვალიუმ, მეორე ადგილზე გავიდა უნგრელი დომონკოშ ფერიან ჩიკი. ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ სერგეი შარიკოვს (რუსეთი) და დამიენ ტუას (საფრანგეთი). ქალებში ოქროს მედალოსანი გახდა ელენა ჟემაევა (აზერბაიჯანი), მეორე ადგილი დაიკავა ფრანგმა ან ლიზ ტუამ, მესამე — რუსებმა ელენა ჩეჩაევამ და ნატალია მაკეევამ.

### მოიპარეს პოპოვის ოქროს მედალი

ავსტრალიაში გაქურდეს გენადი ტურეცკის ბინა. ტურეცკი სახელგანთქმული რუს მოცურავის ალექსანდრ პოპოვის პირადი მწვრთნელია და სწორედ მასთან ინახავდა იგი თავის ჩინმედლებს. დაკარგულ ნივთებს შორისაა პოპოვის ოლიმპიური ოქროს მედალი, რომელიც 1996 წელს მოიპოვა ატლანტაში. იგი 20 ათას დოლარადაა შეფასებული. იტყობინებიან, რომ ქურდებმა სპორტული ჯილდოების გარდა მოიპარეს დიდძალი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, კომპიუტერები და სხვა აპარატურა.



*ალექსანდრ პოპოვი*

## ცურვა

### 15 წლის მოცურავის სენსაციური შედეგი

აშშ-ს მოცურავეთა ჩემპიონატში 15 წლის მაიკლ ფელპსმა 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა – 1.54,92. კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი დამყარდა 50 მეტრზე ბრასით ცურვაში. ედ. მოზე[illegible]ის შედეგია 27,39 წამი.

## ნახევარმარათონი

### კენიელების უპირატესობით

მექსიკის ქალაქ მონტერეიში გაიმართა პრესტიჟული ნახევარმარათონი. როგორც მოსალოდნელი იყო, ვაჟებშიც, ქალებშიც პირველობა არავის დაუთმეს კენიელებმა: ჯექსონ კოეჩიმ და პამელა ჩემჩუბმა.

# რას მოგვიტანს „ნოკაუტ-სისტემა“

ერთდროულად დაიწყო საქართველოს ქალთა და ვაჟთა ჩემპიონატი ჭადრაკში. აქ ერთი თვალსაჩინო სიახლეა: ორივე ტურნირი ჩვენთვის უჩვეულო „ნოკაუტ-სისტემით“ ტარდება. მეტოქეები ჯერ წრეში ორ-ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს და თუ პარტიები თანაბარი შედეგით აღინიშნა, მაშინ 15-წუთიან ორ დამატებით შეხვედრას ჩაატარებენ. თუ აქაც არ გამოვლინდა გამარჯვებული, მაშინ მეტოქეები უკვე ელვისებურ პარტიებში შეხვდებიან ერთმანეთს ერთ-ერთი მხარის გამარჯვებამდე.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ გამარჯვებულები ევროპის ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას. ევროპის ჩემპიონატი (რიცხვით მეორე) ქალთა შორის უკვე 21 აპრილს დაიწყება ვარშავაში და, ცხადია, დიდ ინტერესს იწვევს. რაც შეეხება ვაჟთა ჩემპიონატს, იგი ივნისისათვის მაკედონიაში დაიწყება. ახლა პოლიტიკური მოვლენების გამო მოსალოდნელია ვაჟთა ჩემპიონატის რომელიმე სხვა ქვეყანაში გადატანა.

საქართველოს პირველობებში ძლიერ შემადგენლობებს მოუყარა თავი. ქალთა შორის გამოდიან დიდოსტატები ნინო გურიელი, მაია ლომინეიშვილი, სოფიკო ტყეშელაშვილი, საერთაშორისო ოსტატები ანა მათნაძე, ლელა ჯავახიშვილი, ინგა ჭარხალაშვილი, საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი სოფიკო ტერეძე... ვაჟთა შორის არიან დიდოსტატები: ზურაბ სტურუა, საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი თამაზ გელაშვილი, მიხეილ კეკელიძე, გია ბაღატურია, საერთაშორისო ოსტატები დავით ლობჟანიძე, ბადურ ჯობავა, ზვიად იზორია და სხვა ნიჭიერი მოჭადრაკეები.

# აგასის ბენეფისი გრძელდება



აგასი

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ვაჟთა საჩოგბურთო ოლიმპზე ამერიკელი პიტ სამპრასი მოგვიწოდა. ახლა მისი ადგილი ასევე ამერიკელმა ანდრე აგასიმ დაიკავა. კვირას მან კიდევ ერთი, კი-ბისკეინის (აშშ) ტურნირი მოიგო, რომლის ფინალშიც ახალგაზრდა თანამემამულეს ჟან-მიშელ გემბილს სძლია — 7:6 (7:4), 6:1, 6:0.

ამ მოგებით აგასიმ თავის საბანკო ანგარიშს 444 ათასი დოლარი შემატა. გარდა ამისა, მან 100 სარეიტინგო ქულა მიიღო, რითაც კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერობა ATP-ს საჩემპიონო რბოლაში.

აღსანიშნავია, რომ 31 წლის აგასი ახლა შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია. წელს მან უკვე მოიგო ავსტრალიის ღია ჩემპიონატი, ინდიანა-უელსის და, როგორც ვთქვით, კი-ბისკეინის ტურნირები.

ATP-ს საჩემპიონო რბოლის რეიტინგი:
1. ანდრე აგასი (აშშ) — 425 ქულა
2. არნო კლემანი (საფრანგეთი) — 176
3-4. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — 174
ჟან მიშელ გემბილი (აშშ) — 174
5. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) — 173.

## ბლედში. საჭადრაკო ფესტივალზე

სლოვენიის პატარა ქალაქი ბლედი საჭადრაკო ფესტივალებითაა განთქმული. წლევანდელ გათამაშებაში, რომელშიც 10 ვაჟი მოჭადრაკე ასპარეზობდა, პირველობა არავის დაუთმო რუსეთელმა ევგენი სვეშნიკოვმა — 7,5 ქულა. შემდეგი ადგილები დაიკავეს ვალერი ფილიპოვმა (რუსეთი), დრაჟენ სერმეკამ (სლოვენია), ხუან ატალიკმა (ბოსნია), ზმაგო როგულიჯმა (ხორვატია), ვლადიმირ მალახოვმა (რუსეთი), რობერტ ლონჩარმა (ხორვატია). ყველა მათგანი გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა.

## „სპორტის დედოფალს“ ხანდაზმული თაყვანისმცემლებიც ჰყავს

მძლეოსნობაში ყველაზე ასაკოვან, მსოფლიო ჩემპიონად სარბიელზე ფრანგი ჟერარ ლიცერია მიჩნეული. მან 1985 წელს ჩემპიონობა მოიპოვა სპორტულ სიარულში, რომელსაც ამ გამარჯვებამდე ცოტა ხნის წინათ 35 წელი შეუსრულდა. ქალთა შორის ეს რეკორდი რუსეთელ სტაიერს, ეკატერინა პოდკოპაევას ეკუთვნის — 45 წლის ვეტერანმა მსოფლიო-97-ზე ტოლი არავის დაუდო 1500 მეტრზე რბენაში და გარბენილმა უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**3 აპრილი, სამშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ხელბურთი (12.15), ოვერტაიმი (19.25), *რუსთავი-2.* ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „მანჩესტერი“ — „ბაიერნი“ (23.40), „გალათასარაი“ — „რეალი“ (2.00), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (20.00), *HTB.* ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „მანჩესტერი“ — „ბაიერნი“ (23.35). ჩემპიონთა ლიგის დღიური (1.15). *HTB плюс спорт.* ტაილანდური კრივი (16.00), კალათბურთი. ევროლიგა (23.25). *ESPN.* ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატი (12.00), ინგლისის ჩემპიონატი „საუთჰემპტონი“ — „ეშვუდი“ (20.00), ჩემპიონთა ლიგა: „მანჩესტერი“ — „ბაიერნი“, პორტაჟი (23.30), „გალათასარაი“ — „რეალი“ (02.00). *EUROSPORT.* მაგიდის ჩოგბურთი. ჩემპიონთა ლიგა (14.00), ფეხბურთი. ევროგოლი (15.00), მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (21.00), *HTB плюс футбол.* ინგლისის (13.15), გერმანიის (16.30), რუსეთის (20.00), ინგლისის (20.30), ესპანეთის (21.25) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ჩემპიონთა ლიგა: მეთერთმეტედფინალური მატჩების წინ (22.40), „გალათასარაი“ — „რეალი“ (23.40), „მანჩესტერი“ — „ბაიერნი“ (1.35).

**4 აპრილი, ოთხშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. „დინამო“ (თბ) — „ტორპედო“ (16.00). *რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (15.15), *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (20.00), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (11.00, 20.00), *HTB.* ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „არსენალი“ — „ვალენსია“ (23.35), ჩემპიონთა ლიგის დღიური (2.15), *HTB плюс спорт.* სპორტული პროგრამები. მსოფლიო თასის ფინალი (22.55), კალათბურთი: ესპანეთი — საბერძნეთი (23.25), *ESPN.* ფეხბურთი ჩემპიონთა ლიგა: „მანჩესტერი“ — „ბაიერნი“ (08.00), „გალათასარაი“ — „რეალი“ (20.00), „ლიდსი“ — „დეპორტივო“, პორტაჟი (23.30), „არსენალი“ — „ვალენსია“ (02.00). კალათბურთი. ნბა (15.00). *EUROSPORT.* ძიუდო. მსოფლიოს ოსტატები (15.30), *HTB плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა: „მანჩესტერი“ — „ბაიერნი“ (13.15), „გალათასარაი“ — „რეალი“ (15.30), „ლიდსი“ — „დეპორტივო“ (23.40), „არსენალი“ — „ვალენსია“ (1.35). ესპანეთის (17.15), გერმანიის (21.15), ინგლისის (18.05), იტალიის (21.15) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

**5 აპრილი, ხუთშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. II არხი.* რაგბის მოყვარულთათვის (20.50), *რუსთავი-2.* ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (15.15), ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (19.00), უეფას თასი. ნახევარფინალი. „ბარსელონა“ — „ლივერპული“ (0.15), *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (11.25), *HTB.* ფეხბურთი. უეფას თასი. ნახევარფინალი (19.00), ევროფეხბურთის საფეხბურთო მიმოხილვა (1.15), *HTBплюсспорт.* კალათბურთი. ევროლიგა (15.10), სპორტული პროგრამები. მსოფლიო თასის ფინალი (16.40), კალათბურთი (17.25), კალათბურთი. ნბა (20.25), კალათბურთი. ევროლიგა (23.25) *ESPN.* ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „ლიდსი“ — „დეპორტივო“ (08.00), „არსენალი“ — „ვალენსია“ (20.00), აშშ-ის ფეხბურთი (19.00), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (23.00). *EUROSPORT*, ფეხბურთი. უეფას თასი (02.15), *HTB плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა. „არსენალი“ — „ვალენსია“ (14.00), „ლიდსი“ — „დეპორტივო“ (15.40), იტალიის (17.20), ესპანეთის (18.10), ჩემპიონთა ლიგის (23.05) ინგლისის (0.05), ჩემპიონატები და მიმოხილვა.

## ტოტო ლოტო № 12

ტირაჟის შედეგები 31.03–1.04.2001

**ლოტო 6-42**

16 27 28 30 33 40

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6 რიცხვი | 0 x | 5184.40 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 5 რიცხვი | 0 x | 197.50 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 4 რიცხვი | 2 x | 64.50 ლარი | |
| 3 რიცხვი | 125 x | 1.80 ლარი | |

**სუპერ 7**

2 6 9 8 4 9 8

| | | | |
|---|---|---|---|
| 2698498 | 50,000 ლარი | 498 | 50 ლარი |
| 698498 | 15,000 ლარი | 98 | 3 ლარი |
| 98498 | 5,000 ლარი | 8 | 0.50 ლარი |
| 8498 | 500 ლარი | | |

**ტოტო ფეხბურთი**

1 2 X X X 2 2 2 1 1 2 1

12 მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 x | 18217.00 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 11 შედეგი | 0 x | 2135.50 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 10 შედეგი | 1 x | 587.30 ლარი | |

მე-13 ტირაჟის პროგრამა (7-8. აპრილი 2001)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ინგ. | ლიდსი — საუთჰემპტონი | 60-20-20 |
| 2. | ინგ. | დერბი — ჩელსი | 20-40-40 |
| 3. | ინგ. | ასტონ ვილა — ვესტ ჰემი | 40-30-30 |
| 4. | იტა. | ფიორენტინა — რომა | 20-30-50 |
| 5. | იტა. | ვერონა — იუვენტუსი | 20-20-60 |
| 6. | იტა. | ნაპოლი — მილანი | 30-30-40 |
| 7. | გერ. | აინტრახტი — ლევერკუზენი | 20-40-40 |
| 8. | გერ. | დორტმუნდი — ბაიერნი | 30-30-40 |
| 9. | გერ. | კიოლნი — უნტერჰახინგი | 50-30-20 |
| 10. | ესპ. | რაიო ვალეკანო — ვალენსია | 20-40-40 |
| 11. | ესპ. | ნუმანსია — მალიორკა | 20-20-60 |
| 12. | ესპ. | ვილიარეალი — ბარსელონა | 30-40-30 |

**ტოტო ფეხბურთი**

2 2 1 2 X 1 2 1 1 1 2

11 მატჩი

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 შედეგი | 0 x | 243.40 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 10 შედეგი | 0 x | 87.70 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 9 შედეგი | 0 x | 24.70 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |

მე-13 ტირაჟის პროგრამა (7-8. აპრილი 2001)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | გერ. I | დორტმუნდი — ბაიერნი | 30-30-40 |
| 2. | გერ. I | შალკე — კაიზერი | 30-40-30 |
| 3. | გერ. I | ვერდერი — ჰერტა | 40-30-30 |
| 4. | გერ. I | აინტრახტი — ლევერკუზენი | 20-40-40 |
| 5. | გერ. I | ფრაიბურგი — ჰამბურგი | 30-40-30 |
| 6. | გერ. I | ჰანზა — შტუტგარტი | 30-40-30 |
| 7. | გერ. I | კიოლნი — უნტერჰახინგი | 50-30-20 |
| 8. | გერ. I | მიუნხენ 1860 — ბოხუმი | 60-20-20 |
| 9. | გერ. II | ვალდჰოფი — ფიურტი | 40-30-30 |
| 10. | გერ. II | შტ. კიკერსი — არმინია | 30-40-30 |
| 11. | გერ. II | მაინცი — ობერჰაუზენი | 40-30-30 |

## სპორტული ლოტო № 12

ტირაჟის შედეგები 31.03–1.04 2001

| ბურთი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოთამაშეთა რიცხვი | 19 | 6 | 23 | 16 | 24 | 18 | 17 | 21 | 12 | 2 |
| ბურთი | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| მოთამაშეთა რიცხვი | 10 | 4 | 11 | 14 | 1 | 8 | 9 | 13 | 5 | 3 |
| მოგებული თანხა | | 10,000 ლარი | 1,000 ლარი | 100 ლარი | 50 ლარი | 10 ლარი | 5 ლარი | 2 ლარი | 1 ლარი | 1 ბილეთი |

გამოთამაშებული რიცხვები: 7 15 20 22

მოგებული ბილეთებიდან გამოვლენილი გამარჯვებულები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ფინალურ შოუ-გათამაშებაში:
მერაბ წარწლაძე (ქუთაისი), თამაზ გაგარიძლაშვილი (თბილისი)

საავდმყოფო ღონისძიებებთან დაკავშირებით ფინალური შოუ-გათამაშება 8 აპრილის ნაცვლად გაიმართება 22 აპრილს

# კი-ბისკეინში ქალებმაც იასპარეზეს



ვენუსი

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკელები ვენუს უილიამსი და ჯენიფერ კაპრიატი. მანამდე ვენუს უილიამსმა გათამაშებიდან გამოთიშა თანამედროვეობის №1 ჩოგბურთელი მარტინა ჰინგისი (შვეიცარია), კაპრიატიმ კი უმცროსი უილიამსი — სერენა.

ფინალური მატჩი მეტად დაძაბულად წარიმართა და ვენუს უილიამსის გამარჯვებით აღინიშნა: 4:6, 6:1, 7:6.




## კროსვორდი №26



**თარაზულად:** 3. სპორტსმენის კლუბიდან კლუბში გადასვლა, 7. მოძრაობა ძალოსნობაში, 8. ქართველი ვეტერანი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, 9. საჭადრაკო ფიგურა, 12. ახლო წარსულში საქართველოში მოთამაშე ნიგერიელი ფეხბურთელი, 16. სამტრედიის საფეხბურთო კლუბი, 18. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 19. იტალიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 20. იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი, 22. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი, 23. ქართველი ტყვიის მსროლელი ქალი, 25. პორტუგალიელი ფეხბურთელი — სა... , 29. ქართველი ვეტერანი ფეხბურთელი, მცველი, 30. სპორტული საქონლის მწარმოებელი ფირმა, 31. თურქი ფეხბურთელი.

**შვეულად:** 1. ჭიდაობის ილეთი, 2. რუმინელი ფეხბურთელი, მეკარე, 4. ქართველი ვეტერანი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, 5. იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი, 6. „სკუადრა აძურას“ ნახევარმცველი, 10. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, 11. ჭიდაობისა და კრივის ნაირსახეობა, 13. ქართველი ვეტერანი ფეხბურთელი, ყოფილი პარლამენტარი, 14. სათხილამურო სპორტის სახეობა, 15. საქართველოს 2000 წლის რჩეული სპორტსმენი, 17. შვედი ფეხბურთელი, 21. ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი, 24. იტალიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 26. უკრაინის საფეხბურთო კლუბი, 27. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 28. ქუთაისის სარაგბო კლუბი.

### №25 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 7. „ასპარეზი“, 8. ბალავაძე, 12. იორკი, 13. ბროლინი, 14. ფრეზერი, 15. მესხი, 17. კანავარო, 18. ვორონინი, 22. „ავაზა“, 25. ინსაიდი, 26. ალბიონი, 27. კალჩო, 29. რუდაკოვი, 30. პლანიჩკა. **შვეულად:** 1. ლასკერი, 2. არზიანი, 3. „აზოტი“, 4. ტაიჩი, 5. პანკარო, 6. ვენგერი, 9. ქირესი, 10. „სოლერნიტანა“, 11. ხიზანიშვილი, 15. „მარკა“, 16. „იმოლა“, 19. მაილსი, 20. სნუკერი, 21. ზდენეკი, 23. პლატინი, 24. ანელკა, 27. კრივი, 28. ო, ნილი.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. ტაბიძე



შამათი 5 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლ:e5!
1. ...მფb4 2. ლc3+ მფ:a4 3. კc6X.
1. ...მფb6 2. ლc7+ მფa6 3. კc4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 1. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ საგაზეთო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშონიძე.